


3-17

No I

345

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ  
ବିହାର ପରିବହନ



1891.

# ს ა რ ჩ ე ბ ი

ქ უ რ ნ ა ლ 『 ჯ ე ჯ ი ლ ი 』 . . . . .

ტ  
ტე

I.	ზამთარი, დექსი ტეზისა . . . . .	3
II.	მელია-კუდიგრძელია, სასახლეზე ამნაცია, გაფართოებასა . . . . .	4
III.	ოჯახის ბურჯი, ამნაცია, ექ. გაბაშვილისა . . . . .	13
IV.	მამალი და ძალლი, დექსი, აგაპისა . . . . .	21
V.	იმერლის და ქართლელ ბაშეის შეხედრა, (ზენი გადმოდებულია) ბ. თ. . . . .	25
VI.	ობოლი, დექსი, მდგომედისა . . . . .	33
VII.	ცერის ტოლათოვა, (ფარნგულ) ინგლისური ზღაპრი .	35
VIII.	ნიკორას ჩივილი, დექსი თ. დაზაფაშვალისა . .	41
IX.	ზღაპარი აღმოსავლეთის და დასავლეთის სულმწიფის .	45
X.	აბრამის ამბავი, ხალიური დექსი. . . . .	47
XI.	პატარპატარა სამეცნიერო წერილები,	
	წერილი IV. ილიკოსი . . . . .	49
XII.	წმინდა იოანე ჭელაძნელი, შ. გულისაშვალისა	57
XIII.	ჭობი, იგავ არაქების მწერალი, ე. ბაქრაძესა . .	60
XIV.	ყაზბეგი სტუმრად ბრძანდება (ფრანგულ.) . .	68
XV.	მეურმე და კამეჩები (იუ.ი) ან მანისა . . . . .	71
XVI.	ყვავების გამჭრიანება, მოჭდე ამნაცი . . . . .	75
XVII.	უკვდავების სასმელი, მოჭდე ამნაცი . . . . .	72
XVIII.	ლახტი, თამაშობა, ან-მანისა . . . . .	73
XIX.	ანდა ჭები, გამოცანები, ხალხური ლექ- სები, ჩქარა-გამოსათქმელი, სამათემატი- კო გამოცანა, შარადა, გასართობი და რე- ბუსი . . . . .	75

# ଅକ୍ଷୟବଳୀ

୧୯୫୧ ଜାନୁଆରୀ ୨୩ ମସିଥାରେ ପ୍ରମୁଖ

କୃତିନାନ୍ଦନ

୩୨୦୦

ପିଲାର୍ଦ୍ଦ୍ରୀ, ମିଶରି ଜ୍ୟୋତିଶ୍ଚଳିତ,  
ଫାତ୍ତୁରିଙ୍ଗା, ଗାନ୍ଧୀ ପାନ୍ଦା!

୦. ଡ.

ନଂ I.

ବ୍ୟାଙ୍ଗନିଧିର ମୁଦ୍ରଣ

— + + + + —



ଅକ୍ଷ୍ୟବଳୀ

ଶ୍ରୀମିତୀ ନ. ନ. ମାନ୍ସିନ୍ୟୁତୁର୍ମେଶ୍ୱର, ବାରନାନିଲ ପ୍ରକାଶକ, ସାବ୍ଲୀ ମୁଦ୍ରଣକେନ୍ଦ୍ରୀୟ:

1890

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Декабря 1890 года.



Tipografija J. A. Mansv'etova, Barońskaia ul., domъ K. Meschiëva.



ზამთარი



ასტიქმა სიომ დაჭვერა,  
თოვლმა დაიწყო ძოდენა;  
ო დარჩა გაუეინავი  
ადგილი ბეწვისოდენა!..

ეინვამ აჯობა სითბოსა,  
მალით წაართვა ბუდეო,  
მდინარესა და წეაროსა  
მოავლო ბროლის ზღუდეო.

მიწუნარ-მიჩუმდა სოფელი,  
გლეხის მარჯვენა მღიერი;  
ფიქრებს მიეცა მთა-ველი,  
როგორც მოხუცი, სნიერი.

ზეშვა

# შეღია—კუდიგძეღია

სახალწლო აშავი

## I



დაპარს რატომ არაფერს მიამბობ, ჩემო ქალო?—ჭითსავდა პაპა სოსიკა თავის შვილის შვილის, ხუთის წლის სოფოს, რომელსაც მეტი სახელი პაპამ «გუგული» დაარქვა.

სოფოსაც ეს სახელი ერჩივნა თავის ნაძღვილს სასელსა. როცა განვებ ვინმე ჭითსავდა სოფოს: «ატარა გოგონავ, რა გქვიან შენაო?»—სოფო თამამად მოუგებდა: «გუგული მქვიანო!»

პაპამ სოფოს გუგული იმიტომ დაარქვა, რომ ადრე იღვისებდა და მოჰკებოდა მდერა-ჭიკების. «პაპას გუგული ამრასდაო,»—იტეოდა სოსიკა,— ამრასდა გუგული, ჩემი წუთი-სოფელიო.»

სოსიკა დიდს ბედნიერებას ჰირმნობდა, როცა გუგული გალთაში ჩაუკადებოდა, შესჭიგებიყებდა, შეჭოფინებდა პაპას და თეთრის წვერზე ხელს უსვამდა.

## II

ახალწლის წინა ღმეა. სოსიკა და მისი გუგული გერაზე სხედან. გუგული ქალთაში უჯდა თავის პაპას და მოუსვენრად ფეხებს უსვამდა დაბლა კერის პირზე.

— აბა, მაშ ჩემი ქალი — სოფლის თვალი არ უამბობს ზღაპარს თავის პაპას? — ჩაეყითხებოდა სოსიკა გუგულს.

— არ ვიციო, არ ვიცი, არ ვიცი ზღაპარიო! — მი-  
უგო პაპას გუგულმა თავის გადაქნევ-გადმოქნევით.

— მაშ არც შენის ქმრის ზღაპარს მიამბობ, ჩემო ქა-  
ლო? — ჰქითხა კვლავ სოსიკამ გუგულს.

— არ ვიციო, არ ვიციოოო! — მიუგო ისევ ისრე გუ-  
გულმა.

იცით მურე, ვის აპირებდა გუგულს ცოლად? ვისა და  
მელასა.

«უნდა ჩემი ქალი მელას მივათხოვო,» — იტეოდა სო-  
სიკა გუგულის გასაგონად, — «ვაჟაციც კარგია და ოჯახის  
შეილიცაო!»

— მართლა არ მიამბონია შენთვის, ნინო, რომ ჩემი  
ახალი სიძე, ჩვენის გუგულის საქმრო დღესაც კიდე ვნახე  
სოფლის ბოლოს, — ეუბნებოდა სოსიკა თავის რძალს ნი-  
ნოს, რომელიც დედალს ჰუცუჭავდა ცხელს წეალში და  
ჰქიდვენიდა.

სახალწლოდ ნინოს ეველავერი დამსადებული ჸქონ-  
და და იქვე მაღლა თაროსე ელაგა: ერთი ბურვაკი, იმას  
გვერდზე მოსწოლოდა ინდაური, ინდაურს გვერდზე ედო  
მსუქანი დედალი და ეს უკანასკნელი მეორე ამხანაგს უცდი-  
და. გოზინაუი, ჩურჩხელები, სილი ნინოს ადრევე მომხა-  
ლებული ჸქონდა.

— არ გიბრძანებიათ, მამამთილო, არა!

— ნამდვილად სოფლის ბოლოსა ვნახე, — განაგრძო  
სოსიკამ — წეაროს წეალს ქვემოდამ, ჭალის პირას; უცებ  
თავს წამომადგა ჩემი სიძე მელა: ლურჯ ცხენზედ იჯდა



და ლურჯი ქულავა ეცვა, თავიდამ ფეხებამდის იარაღში  
იუო ჩამჯდარი: თოვი, სმალი, სანჯალი, დამბაჩა, სასწრა-  
ფო, საპირისწამლე, — სულ ოქრო-ვერცხლითა ჰქონდა მორ-  
თული, თავზე მძვენიერი გალმუხის ქუდი ესურა.

— ჩემს სიძამრის გახლაგარო! — მოძაძახა.

— ჩემს ახალს სიძეს გაუმარჯოსო! — მეც მივამახე და  
გავაჩაღეთ პრომტი და სალამ-ქალამი.

— ღღევანღელ ღღეს რა ჭალაში სიარულისა არისო?  
მკითხა.

იმას ღღესა ჸკონებოდა ახალი წელი, ანგარიშმი შე-  
მცდარიეო.

— რატომ, რა მიზეზია-მეოქი?

— ის მიზეზია, რომ ღღეს ახალი წელიწადია, კაცს  
მოკეთე მოსდის, თავის სახლში უნდა დაუხვდესო.

— ვაჭმე, ჩემო ახალო სიძეო, სურჯინმი არა გიძეო!...  
ღღეს-კი არ არის ახალი წელიწადი, ხვალ არის-მეოქი.

— ვაჭ, შენ ჩემო თაოვო, — შემოიკრა ხელი თავსა და  
ჰირში, — წავხდი კაკალი კაცი, ეს როგორ მომსვლია: გუ-  
შინდელი ლოთობის ბრალია; ჩემის ბიძაშვილის ნიშნო-  
ბაში გახლდით, კარგა დავლიეთ, სულ მაძლის კანწებითა  
ვსვით ღვინო, მრიენაც დავთვრი და კიდეც ამ დათობამ  
მიუო ეს საქმე, რომ შემარცხებინა შენთან, ჩემო სიძამროვო;  
მე ძღვნითა და მოსაკითხით წამოვედი და დახე როგორ  
ტუუილად მომცდარეარო.

სურჯინი საქსე ჰქონდა ბატ-ქათამ-ინდაურებით. რა  
გინდა, სულო და გულო, რომ შეი არ ეწეო: ჩურჩხელები  
გინდა, თურამაული ვამლები, გულაბის შსხლები, ნაძცხა-  
რი ნაზუქები და ქადები; გუდი გადმოიგდო გვერდზე იმ



ეშმაქმა. იმის კუდმა სომ გამაოცა და გონებიდამ გადამაგრო, ოვეიდამ ბოლომდის ბეჭდები და საურეები ჰქონდა ასხმული. მართლა, უნაგირის ტახტაზე ორი «ბუზიკა» ეკიდა. უკალა ეს ჩემის გუგულის ფექაშად წამოედო...

ჰაპამ რომ «ბუზიკები», ბეჭდები და საურეები ასესა, გუგულს გაეცინა...

— წავიდა და ხვალ მოვა. ძღვენს თუ არაუერს მოუმატებს, ვიცი, არაუერს დააკლებს. მაღლიან მოსწონს ჩემი გუგული და მაღლიანაც მეხვეწა, შენი სულის ჭირიძე, შენ გენაცვალე, ჩემო სიძამრო, არ დამღუპოთ, არ დამანელოთ, გუგული სხვას არ მიათხოვოთო! რაზე მწუნობთ, კაცო? ღმერთმა სომ იცის, ჩემისთანა ვაჟებაც თქვენ სხვას ვეღარ იძოვით, თუ ვაჟებაცობით, თუ ოჯახიშვილობითათ.

არცა სტუოდა, ღვთის წინაშე. ხებლ მოვა და ერთი გაი ნიშნობაც გავაჩიხრისოთ.

ჰაპას გუგული ეელზე ჩამოეკოწიალა და ღედას ღიმილით გადაჭედა.

### III

— ეგ არ მინდა... არ მინდა მელა... სხვა. რომ იცი გუდი - გმელიასი, ის მიაშე, ჰაპავ! -- სოსოფა გუგულმა ჰაპას.

— მაღლიან კარგი, ვიამსობ, თუ ურის კარგა დამიგრებ, — სოსიკამ და დაიწეო: — იუო და არა იუო-რა, მე და ჩემს ქალს გუგულზე კარგი რა იქნებოდა ქვეუანაზე?! იუო ერთი მელია — კუდივმელია, კონიერი, ღონიერი, შეკიანი, ფხიანი, თავ-გზიანი და სან-და-სან ავ-ზნიანიც.



— კინაღამ, კინაღამ ჩემს სასიმოს, შენს საქმროს კუდა-  
მელასა სჯობდა. მეტად კარგი რამ იუო ეს მელია — კუდი-  
გძელია, მძვენიერის ტანისა და წვერ-ულვაშისა; მუდამ  
აცქეუტილ უურების უკანა პირზე შავი საფერდი ჰქონდა  
გადაკრული, მაგრამ ეს მელა უფრო გათქმული იუო იმით,  
რომ გძელი კუდი ჰქონდა. ეს კუდი იუო იმის სანადირო  
იარხლი.

ვსოდეთ, გაუქმავდა თავეი, შეძერა სოროშია და  
აღარ გამოდის გარედ, თუმცა მელიამ დიდხანს დაუუნთე-  
ბულმა უცადა მას თავეის სოროს პირზე. ხერხად მამინ  
მელია-კუდიგძელია იმას ისმარებდა, რომ შეიბამდა თეთრ  
კუდის წვერზე თხილის გულსა და ჩაუშვებდა ასე თავეის  
სოროში. თავვი, — რა თქმა უნდა, — რომ დაინახავდა თხი-  
ლის გულს, მოეპარებოდა და მელა-კი კუდს ნელნელა გა-  
რედ გამოსწევდა, თავეს გამოაცილებდა იმის ციხე-დარბაზს,  
სტაცებდა კლანჭსა და დაიწერდა.

თავის კუდის წესლობით ბევრი მამალი ჩამოუბმანებია  
ქანდარიდამ მელას. მამალს რომ მიუხტებოდა, ქანდარაზე  
ძაღლობარეს, ჯერ ამას შეეხვეწებოდა: ჩამობმანდი, ერთი  
მოწმობა დამიწერე, სტამბოლს მინდა წასვლაო, — და რო-  
ცა ამ თხოვნით ვერას გახდებოდა, მოიბამდა კუდის წვერ-  
ზე რამდენსამე მარცვალს და მიუშვერდა მამალს ცხვირ წან.  
სულწასული მამალი დაეტანებოდა, ჩამოვარდებოდა ქან-  
დარიდამ და მელასაც ეს უნდოდა, მაშინვე პირში იკრძგ-  
და!...

მისახვევ-მოსახვევიანი სორო მელია-კუდიგძელიას  
ტექში ჰქონდა ბექობ ადგილას. ლოგინად ქათმის ბუმბუ-  
ლი და ბატის გერმა ეპო ქვემა და საბმანებელ ტახტად ედგა



მამლის ფეხები. ბინა მელია—კუდიგადელიას სავსე ჭირნდა ქათმის, ინდაურის და ბატების ნისკარტებით, იმის ბინაში იპრეთვე მრავლად მოიპოვებოდა ნისკარტები ბეღურახი, წიბრიასი, ქერონა ჩიტისა. მაღლა შეკიდებული ჭირნდა მამლის ჯიჯლიბოები, თარო კიდევ სავსე იუო თაგვის გბილებითა. მალიან მდიდრადა სცხოვრობდა მელია რომ ძეტი არ იქნება. საცა რამ წინდის, ან ჰაიჭის ძველი მო-ეგო, ემოვნა, ისიც იქ, თავის ბინაში მაუტანა.

## IV

ერთს დღეს, ერთს გორაზე იჯდა დაუუნთებული მე-ლია—კუდიგადელია და ათეალიერებდა ქვეენიერობას. უფ-რო თვალ-დამტერებით უცქეროდა ერთს სასახლეს, რომე-ლიც მზესავითა ბრჭევინავდა. მელაბ დაინახა მეფის მზეთ-უნახავი ქალი, რომელიც სასახლის სარკმელთან იუო მო-მდგარი. მელას მეფის ქალი მლიერ მოეწონა და განი-ზრახა მისი ცოლად შერთვა გაუგზავნა მეფის ცხრა-ათი შუაკაცი, რამდენიმე ბარათი ხვეწნა-მუდარისა, მაგრამ არა იქნა-რა, მეფე ვერ დაითანხმა. მელას ეწეინა მლიერ მეფის უარზე დადგომა და სთქა კულ-მოსულმა:

— მაშ მე მოვკვდე, თუ შენი ჯავრი არ ამოვიყაროვო! რაკი ნებით არ მამლევთ, მალა სომ ჩემს ხელში არისო!

ადგა მართლაც ერთ ღამეს და გასწია მზეთ-უნახა-ვის გამოსატაცებლად, მაგრამ ცოტას შეფიქრიანდა, ზირ-დაპირ მისვლას მოერიდა და ისევ სხვა ღონე იღონა, იფიქრა: მოდი ამ მეფის თავლა-საბძელს ცეცხლს წავუკი-დებ, რაც მოსამსახურები და ამალის ხალსია, იქ გაიქ-ცევიან და მაშინ დარჩება კაი დრო ქალის გატაცებისაო.



მართლაც შეიძა თავის გქელს კუდზე ერთი მუცუნდლი, მიიტანა და მიუდო ცეცხლი თავლა-საბელს. ცეცხლი კარგად გაჩაღდა, თვითონ იქვე შორი-ახლოს მიიმაღა.

— თავლა და საბელი იწვებაო! — დაისახეს და გამოცვივ-დან ეველანი გარედ. მეფე-დედოფალი-კი თავ-გადაგლეჭი-ლები გამორბოდენ. მსეთ-უნახავიც მოაჯირზე გადმოდგა და სეირს უცემოდა. მელას დრო დარჩა, შესტა, ერთბა-შად ხელი სტაცა ქალს, შეიგდო კუდზე და — ჰერი ბიჭი! გასწია და რა გასწია ..

მოზღვავებულმა სალხმა ცეცხლი მალე ჩააქო, მაგ-რამ ახლა სსვა თავში საცემი საქმე ვაუსდათ. რა ნახეს, რომ მეფის მსეთ-უნახავი ქალი აზარსად იუო, შეიქნა ჩოქოლი, ერთი ვაი-ვაკლახი.

— აბა, მდევარი, აბა მდევარიო! — უკირიან...

გაიგეს ისიც, რომ ეს ოინი მელამ დაჭმართას. თვი-თონ მეფე შეჯდა თავის რაშე და გამოეკიდა უკან მელასა მხლებლებით. მელა მირბოდა და მიხტოდა რაც მალი და ღონე ჟქონდა. მდევრებს გათენების დროს მსეთ უნახავის ტირილი შემოესმათ შორი-ახლოს:

— მიშველეთ, ქრისტიანი ვინა სართ, მელას მიუჟა-რო!

მოუქარეს იმათაც უფრო ფეხი, მოეწივნენ და ქალი გააგდებინეს როგორც იუო იმ ეაჩად მელას.

მელამ რა ნახა, რომ ჩემი საქმე ცუდად არისო, მია-შერა თავის სოროს, მაგრამ ერთი გულადი, უკელაზე უკე-თესი მსედარი წამოეჭია და მანამ სრულ შეეფარებოდა სო-როში, კუდში ხელი სტაცა. მელამ გაიწია რაც მალი და ღონე ჟქონდა, ისე მაღზე, რომ კუდი მთლიანად მსედარს



და ისა ხელში და თვითონ კი უკუღოთ შებმანდა თავის  
ცისქ-დარბაზში. მავრამ იქიდამაც მალე გამოაბმანეს, შეუ-  
კრეს ხელ-ფეხი ბორკილით და ისე გამატული წამოიუვა-  
ნეს...

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა!..

— სხვა აღარიშერი იცი, ჰაპავ, მელისა? — ჭირთხა გუ-  
გულმა სოსიკას.

— როგორ არა, ვიცი კიდევ, შვილო, ერთი შეირი  
მელისი და იმასაც გეტუვი, რა-კი ეგრეა.

გუგულმა თავი დაიქნია და ჰაპამაც დაიწუო მელის  
შეირი:

აღვა, ამხელრდა მელია,  
ულეაშს გადისო ხელია,  
კულზე ეცვანი შეიბა,  
ხმლით დაიშვენა წელია,  
თოფი გადივდო მხარზედა,  
ჩამოივარცხნა წეერია.  
შეემაზა თაეისი რაში,  
თაეისი ლურჯი ცხენია.  
ვაი ქათმებს და თაგვებსა,  
დღე დაადგებათ ცხელია!  
ესე ამბავი მელისა  
ხეეში ერთს ქვაზე სწერია.  
შეიძრა მთელი ქვეყნა —  
ერი, მღვდელი და ბერია.  
დასტოვა მელამ სრა-სახლი, —  
ხეეის პირს ერთი ხერელია,  
შიგ კაცი როგორ შეძერება,  
ვიწრია და მეტად ბნელია.  
ნეტავ სად მიღის მელია,  
თუ ჭკა არ გამოელია?!



სუსელას მუქარას უთვლის  
ეს გმირი ხეარასნელია.

კაცს მელა როგორ აჯობებს,  
ათასის ხრიყის მქნელია!?

იქ მეწისქეილეს ჰეგბოდა  
რკინის ხაფანგი ძეელია.

ამ მეწისქეილის ხაფანგსა  
ეს გმირი დაუჭერია.

გაფუჭდა ბიღებიანი,  
კული-ლა გაუჭერია.

შაბა რომ ამ ამბავს უამბობდა გუგულს, ბესა, მმა გუ-  
გულისა, კიდევ იჯდა კერის ჰირას, აეღო ერთი მუგუზა-  
ლი და აჩინჩხლებდა, ცდილობდა, რომ მეტი ნაპერწეალი  
გაეკარა მუგუზალს, და თან ატანდა:

— ამდენო ღორო, ამდენო ცხვარო, ამდენო სარო და  
კამებო, ამდენო ბატო, ამდენო ინდაურო, ამდენო მირო  
ფუტეარო, ამდენო ორმო ჰურო!

ჩქარა გუგულსაც დაქინა ჰაპის კალთაში, ნინომ გა-  
დიუვანა და ჩააწვინა ქვემაგებში.

კერ გათენება შორს იუო, რომ გუგულმა გაიღვიძა და  
მოჭევა თავისებურს ჭიკჭიკს:

— მელა არ მოვიდა, ჰაპავ?

— როგორ არა, მოვიდა, შვილო, და მღვენიც მოიტა-  
ნა! — მიუკო ჰაპამ, რომელიც კერის ჰირას იუო წამოწო-  
ლილო.

მერე ადგა, გადვიდა სოფოსთან, აკოცა შებლზე და  
ორივე ხელზე, ჩაუდო ჰირში გოზინაუი, სათითაოდ ხელ-  
ში ვამჯები მისცა და უთხრა:

— ესრე ტკბილად დამიბერდი, ჩემო შვილო!

## ო ჯ ა ხ ი ს ბ უ რ ჯ ი

ამბავი

## I



შეენიერი, გრილი, ოდნავ მოღრუბლული მარიამობისთვის დღე იყო; დილის თერთმეტი თუ თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მე და ჩემი თერთმეტის წლის ვაჟი ილიკო შეესხედით ცხენებზედ და ნელის ნაბიჯით შეეუდებით, ჩენ სოფელს ახლო, ტყის გზასა.

ტყეში სრული მყუდროება სუფედა; ფრინველნი, ეს ტყის სულის ჩამდგმელნი მოჭიკვიკენიც კი გაყუჩებულიყვნენ და თითქოს ზაფხულის შუადღის ძილს მისცემოდნენ. მარტო შორიდვან მოისმოდა დატვირთულ ურმის მძიმე ჭრიალი და შორს ბანს აძლევდა სევდინი ურმული მნის-მზიდველისა.

მე და ილიკო ტყე-ტყე სასეირნოდ მიედიოდით და ტკბილად ელაპარაკობდით; ტყე თან-და-თან უფრო და უფრო დაბურვილი ხდებოდა; ცას ყური აღარ ეათხოვთ და თითქმის შებინდებული დღე ახოვან მუხების ჩრდილს მიეაწერეთ; ის კი არა თუ ჩენ ბააშში ცა საშინლად მოხრუშულიყო და უცებ ონაეარმა ქარმაც დაუბრა. ტყემ გუვუნი დაიწყო, მიძინებულმა ბუნებამ სწრაფლად გამოილება და მძლაერად ზმორება მოხოთ; თითო - ოროლა დიდრონმა წინ-წერალმა მაგრად გაგვიტლაშუნა პირისახეზედ. ილიკომ თავის ცხენი ჩემსას მოუსახლოვა და შიშით შემომხედა. ამ დროს საშინლად გაიელვა და თან მოჰყეა ხანგრძლივი გრუხუნი.

— დედა, რა გვეშეელება? ჩენ, მკონი, ძლიერ შორსა ეართ ჩენ სოფელზედ, და ეს საშინელი აედარი ხომ თან წაგვილებს?

— აქ ახლო ერთი სოფელი მეცულება და აბა, შეილო, ყოჩა-ლად, მაგრა იჯექ ცხენზედ და მამყე, იქნება აედარს ჩენ გავუსწროთ.



ცხენები კარგები გვყაედა, არც ტყის გზა იყო ურიცო, და გავ-კარით. ჩენი ცხენების ფეხის თქრიალი უფრო უმატებდა გაღეიძე-ბულ ტყეს ხმაურობას და შიშის ზარი იტანდა ჩემს ილიკოს, ფერი სრულიად დაეკარგა და რაც ძალი და ლონე ჰქონდა ერევებოდა თაეის „ბაჩას“.

რამდენსამე წამს შემდევ ჩენ წინ, ტყის გაღმა გამოჩნდა პა-ტარა სოფელი „ოლე“ და წვიმამაც კოკა-პირულად დაასხა, თან სეტყვამაც წამოუშინა და ლაწა-ლუწი აუყენა არე-მარეს.

სოფლის განაპირას, მაღლობზედ ერთი პატარა ხის სახლი იღვა და ორ დიდ ნერგ შეუ გამოიყიტებოდა იმის ახლად გაკეთებული აივანი. მე მაშინვე იმ სახლისკენ გადევხეიე და აივანთან შეედექ; სახლის კარებში გამოდგა შავებით მოსილი მოხუცი და გაკეირევებით დაეგიწყო ცქერა.

— ნინო, ვერ მიუან, დარია, თქვენი ბატონიშვილი დარია?

— დარიაჯან! შენა, შენი ჭირიმე! უი დამიღეს თვალები! ამის-თანა აედარში ხომ დაიწუწებოდით. გადმობძანდით, გენაცვალე, ჩქა-რა! — მერე ოთახში შეიძახა: — სალო, შეილო, ცეცხლი, ჩქარა, დი-დი ცეცხლი გააჩალე, ბატონიშვილები გვეწეიონენ!

რამდენსამე წამს შემდევ მე და ილიკო ვისხედით გაჩალებულ ბუჩქის წინ და ეიშრობდით ძალზედ გაწუწულ ტანისამოსს; აქე ჩენ გვერდით ნინას ყმაწეილი-რძალი სალო ქათამს აკეთებდა ჩენ-თეის სასამხროდ.

ლამაზად მეჩენა ეს პატარა, გამარტოებული ხის ოთახი, თა-ვის პატარა სანათურებით, რომელშიაც პატარა შუშები ისხდა და ოდნავ ანათებდნენ სუფთად მილაგებულ სადგურს. ცალ მხარეს გა-ნიერი ტახტი იყო შეკრული და ზედ ჭილობები და ფარდავი ჰქონ-და გადაშლილი, მეორე მხარეს ჩამწკრივებული ეწყო სამი მოზღი-ლი სკიკრი, და ერთ იმათვანზედ ელავა სუფთა, დაკუცილი ლოგინი. კუთხეში ლამაზი, პაწია ნაჭლევი თარი იყო მიღმული და ზედ-მცი-რეოდენი ჭურჭელი და სპილენძეულობა ელავა; ერთი სიტყვით, ოთახს ეტყობოდა, რომ ორი რიგიანი დედაკაცი ჰპატრონობდა, და ბალე-

ბი, ეს სახლის მუდამ ქაშს ამრევ-დამრევნი, არ სწერავლენ აქაუ-  
რობას.

— ეს რატომ ასე მარტონი ხართ, ნინო? განა შეილი-შეილები  
არა გყავს? — კითხე სახლის პატრონს და აქეთ-იქით მიეიხედ-მოეი-  
ხედე.

შეილი-შეილები კი არა, დარიაჯან, — ღმერთმა არ შემარჩინა, —  
და ერთი ბიჭი კი გყავს! — ოხერით მომიგო ნინომ და თავის რძალს  
გადაჰქედა.

— მერე სად არის ამ საშინელ აედარში? — აჩქარებით ჰკითხა  
ჩემმა ილიკომ მოხუცს: — ხომ ნიავლეარი წაილებს, თუ კარში არის  
საღმე.

— ნიალეარი კი ვერ წაილებს, გენაცვალე, პატარა ბატონიშეი-  
ლო, და ძლიერ კი გაილუმჰება. დაუდგეს ბებიის თვალები! მერე ნაბა-  
დი მაინც წეველო თანა, ცარიელ ჩოხაშია გახვეული...

— საწყალი! ცინ იცის ეხლა რა ნაირად ღრიალებს და დედას  
ეძახის! მერე რა საშინელი ყოფილა ტყე აედარში, ისე ღრიალებს,  
ყმუს, თითქოს ათას ვეშაპს ერთად მოუყრია თავიო! მე რომ მარ-  
ტო ყოფილიყავ, შიშით გავვიკედებოდი... საწყალი ბიჭი! რა ჰქიან  
შენ შეილი-შეილს? — ეჭიკჭიკებოდა ჩემი ილიკო ბებერს.

— ჩემ შეილი-შეილს, შეილო, დათა ჰქიან და არც ტყისა  
ეშინიან: ის ღამე ბევრჯელ შესწრებია ხარში ამაზე უარესს აედარს,  
მაგრამ არ უტირნია კი; ცამეტის წლის ბიჭია, რაღა ღრიას იმის  
ტირილია. რომ იტიროს, ხომ ამხანაგები მასხარად აიგდებენ: ან კი  
რად უნდა იტიროს, განა ტყეს არ იცნობს, ტყის სიცილიც და ტი-  
რილიც ათასჯერ არ გაუვონია? განა არ იცის, რომ აედარს დარი  
მოსდევს და დარს კიდევ — აედარი?

— განა მე კი არ ვიტი, რომ აედარს დარი მოსდევს და დარს  
კიდევ აედარი! — ცოტა არ იყოს გაჯავრებით სთქვა ილიკომ: — მაგ-  
რამ ტყეში აედარი საშინელებაა! მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ  
დათას ეხლა სულ შიშით აკანკალებს, ტირის და შენ კი მოსაძებ-  
ნად არ მიხეალ, ცოდეა არ არის? მერე ნაბადიც არა ჰქონია თანა,  
ხომ გაცივდება და აეად გახდება!

## II

სალომ საჩქაროზედ მოსწეა ტაფაზედ ქათამი და ლურჯ სუფ-  
 რაზედ მოგვიტანა რაც ღვთის მოწყალება ებადათ რამე ოჯახში.  
 ჩენ მგლებსაეთ წავესიერით ხორავს და დიდის მაღით შევექცეოდით  
 წითლად დაბრაწულს ვარიას, ახლად შედლებილს კარაქს და ნალბით  
 გატენილ, ყველსაეთ დანით საჭრელ მაწონს.

წეიმა კი ისეე კოკა-პირულად ასხაედა და თითქო თავის დღე-  
 შიაც ალარ აპირებდა გადალებას. ნიალერები შეილ-ხრიალით მირ-  
 ბოდნენ სოფლის ბილიკებზედ; კალთა წამოკეცილი, ფეხ-შიშველა  
 დედა-კაცები და თაეზედ ტომჩებ წამოსხმული მამა-კაცები ფაცი-ფუ-  
 ცით აბინავებდნენ კარზედ დარჩენილ ჭირნახულს; ბანის ერდოებს  
 ამაგრებდნენ, რომ ნიალერით არ აესებოდათ სადგომი დარბაზები.

აგრ სოფელში შემოვიდა ჩეცულებრივის სისწრაფით და ჭუკ-  
 ტინით ლორ-ხბო, მას მოჰყვა დარბაისლად მსელელი ნახირი და შემ-  
 დევ მუშა საქონელი თავის გაწუმული მეხრეებით. საქონელს გა-  
 მოეცენენ შინ შეყვუჟულნი გოგო-ბიქები და ქიელო-ხიელით დაე-  
 რინენ საქონელს თავ-თავის ბაკებში შესალალად. ნინო და სალოც  
 საჩქაროდ გაეიდნენ კარზედ და მალე მათ შემოჰყვა ლოლოუსაეთ  
 ლაფში ამოელებული და სიცივისგან მთლად გალურჯებული დათა.

დათა, თავის ხნის შესაფერად, კარგა ტანადი ახალგაზდა იყო;  
 პატარა ნაბდის ქუდი კინ კრიხოზედ ჰქონდა წამოდებული და ნათე-  
 ლი გულისპირი უმშევნებდა შავერემან, აზრით საქსე, პირისახეს.  
 წინდა-ქალამანზედ ტალახი ბლომად ჰქონდა შევლესილი და პაი-  
 ჭებში ჩატანებულ განიერი თეთრი შარელიდგან წკრიალით გასდიო-  
 და წეიმის წყალი; დათამ დარბაისლურად, დაურტხენლად დაბლა  
 დავეიკრა თავი, ქუდი მოიხადა, თავის უშეველებელი კომბალი კუთ-  
 ხეში მიაყუდა, წელიდგან ქამარ-ხანჯალი. შემოისხნა და წყნარად წა-  
 ვიდა გაჩაღებულ ბუხრისაკენ.

ჩემი ილიკო გაოცებული შესცემროდა ამ პატარა კაცს და ჰყი-  
 რობდა იმის დალაგებულ მიხერა-მოხერას. არც ტირილი, არც ში-

ში გამოელილის აედრისა იმას არ ემჩნეოდა, მხოლოდ არა-ბაჟშურის დარბაისლობით შეკრული ჰქონდა შუბლი ამ პატარა კაცუნის.

დათა ბუხრის წინ ჩამოჯდა პატარა სამუელ სკამჩედ და დაბუხული ხელები ცეცხლს გაუშერია. დედამ ქალამნების თასმები დაუხსნა, ძლიერ-ძლიერობით გააძრო ფეხიდგან წეიმით გაფლინთული ღაზლის წინდები, შემდეგ ტაშტი და წყალი მიუტანა ხელის დასაბანად და მერე—სადილი ხონჩით, თითონ კი გაეიდა გარეთ ძროხის დასაბინავებლად.

ოთახში დიდხანს სიჩუმე იყო, მხოლოდ წეიმის შხაპუნი გარედამ და ცეცხლის გუგუნი შიგნით არღვეედა ამ სიჩუმეს. დათა აუჩქარებლად, წყნარად, მაგრამ დიღის მაღით კი შეიქცეოდა ჯამში ჩაყრილ დო-შეკამანდს; ჩენ ჯერ ხმას არ ეიღობდით.

ბოლოს ილიკოს ცოცხალმა ბუნებამ ეერ მოითმინა დიღის ხნის სიჩუმე და გამოელაპარაკა ამ ხნიერებით თავის ოდენა ბაშეს და შეხედულობით და ჭუელით კი დამზნილ, დალაგებულ კაცუნის:— მართლა შენ ტყეში აედრის დროს არ გეშინიან? არა სტირი ხოლმე, როცა ტყე ისე საშინლად გრიალებს და ისე ჯოჯოხეთურად ჩამობნელდება ხოლმე?

— შიშით კი რისა შემეშინდება, ბალლი ხომ არა ეარ, და სიციეით კი დაციყინებით,—მე და ჩემა ლერთმა; მეტადრე ჯავახიანთ პატარა ტატო კინაღამ მოგვიყედა, ცარიელა პერანგით წამოსული-ყო ლორებში. ი, ოხერი სეტყვა ხომ ისე ააციებს ხოლმე, ისე, თითქოს ზამთარი მოსულაო. თაე-პირი ხომ სულ გამოგეინაყა, მინამ ერთ დიდ მუხას არ შეეფარენით.

— ტყეში რად იყავი? განაგრძო ილიკომ ლაპარაკი,—შეშა უნდა მოგეტანა?

— შეშა კი არა! შეშა შეა ზაფხულში რად მინდოდა! ან შე შისთვის ეხლა ვისა სცალიან! მთელი დღე სიმინდსა ეჩეხაედი და ის ოხერი თავსხმა ისე წამმებარა მუშაობაში, რომ ვერც კი გავი-გე, და, როცა სეტყვა წამოუშინა, სუსველანი, მინდერის მუშებიც და მწყემსებიც, ტყისკენ გავექანენით,

— სიმინდს სჩენდი! ? მარტო?

— მარა! ეინ მიშეველიდა? მამა მე არა მყაფს და ბიძა! — ოხერით სთქვა დათამ.

— რატომ დედაშენი მუშას არ დაიჭერს?

— მუშას? — რითი, შეილო? — ლაპარაკში ჩაერია დათას ბებია ნინო: — მუშის შეძლება ეინ მოგვეცა, ჩეენი მუშაც და მოწალმართოც მარტო ეგ თითის ოდენა ბიჭია. ეგ რომ არა გვყავდეს, წყალი მოვიდოდა და თან წაგვიღებდა; ეგ კი, — ვენაცვალე ლვთის სახელს! — იმდენს მუშა-წალმართობს, რომ ლუქმა მოჰყაფს და დედას და ბებიას მშიერს არ აგდებს.

— ნერა მართალს ამბობ, ნინო? ამ პატარა ბიჭის ხელით სცხოვერობთ მთელი ოჯახი? — ცნობის-მოყვარეობით დავვითხე მეც ბებერს.

— მართალს, თქვენი წყალობა არ მოაკლდეს მაგის პატარა სიყმეს. მაგას აგრე კი ნუ უყურებთ, ნამდეილი ოჯახის ბურჯია, ბურჯი! კარგ ვაკაცს არ ჩამოურჩება საქმეში: სამი დღის სიმინდი აი სულ ოთხ-ხუთ დღეში გაჩეხა. ხეალ მე და სალო უნდა გაეცემ და ურემჩედ დადება ვუშეველოთ. ურემი ნათლია გიგოლამ აგვითქვა და ორ დღეში სულ ერთიან მოვზიდავთ კარებზედ... ღმერთმა დალო-კოს, ასეთი ტარი აქს, რომ წლის სარჩის მოგერჩება კიდეც.

ბების ქებაზედ დათას ცოტა არ იყოს შერცხვა და ცეცხლს ჩხიყნი დაუწყო. მერე ოხერით წამოსთქვა: ეჭ, რა არის ხელ - ცა-რიელა კაცის მუშაობა! ხარი არსად გავვაჩნია და კამეჩი! ერთი ულელი ხარი მყოლოდა, მაშინ ნახავდი, ბებილო, რა ხოდაბუნებს გადაეხნავდი ანულად! ეხლა რა! ორი თვე გუთნის მეხრეთ უნდა ვიწანწალო, რომ ორი ალო მიხნას ვინმე.

— ხარი და კამეჩი ვინ მოგვაოხრა, შეილო! წყეული იყოს ის მუხთალი სიკვდილი! რაც მამაშენი ხელიდგან გამოვეცალა, განა ჩეენ ბელობაზედ გაჩნდება კიდევ საიდგანმე საქონელი! მაგრამ, რა ვენათ, ასე უნდა ვიწვათ და ვიდაგოთ, სანამ დავაკაცაცდები და მერე, — ღმერთია მოწყალე, — ვალი იქნება თუ ვახჩი, ერთი ულელი ხარი უნდა ვინალელოთ საიდგანმე.

— დათა, ის არ გირჩევნია, ქალაქში წამოხეილე, „ლაქიაობა“ ან „პოეტობა“ ისწავლო? — უთხრა ჩემმა ილიკომ: — იქ ხომ მაგდენი ჯაფა არ გექნება და ფულებს კი ბლომად აიღებ. დიდ ქალაქსაც ნახავ, შენ ხომ ამ სოფელ „ოლეს“ მეტი არა გენახვება რა, არა?

— რა მინახავს, არაფერი! ერთხელ კი გონგლაანთ ურეშზე გამატანეს ხაშურის ტანციაზედ. პა, პა, პა! დასწყევლოს ღმერთმა ი მაშინაა თუ რაღაც, — შორიდამ რომ თვალებ დაბდლერიალებული დავინახე, კინაღამ გული გამისკდა, უკან-უკან წაველ და ისე მიერნარცხ ჩენებიანთ გივლას, რომ ორივენი გადავყოტრიალდით. ნეტაი ერთი კი ჩამსეა ი ოხერში და სხეა კი არაფერი მინდა!

— მაშ თუ იმ მაშინის ნახეა აგრე გინდა, მოდი ჩენ წამოგვყე ქალაქში, ამ ორ კეირას შემდეგ მიეალთ, აბა ნახე, იქ რამდენი იმისთანები გიჩენით, წიგნსაც გასწავლით, და ახლა წიგნებში რამდენ ამბებს წაიკითხავ!?

— წიგნის სწავლება ხომ ძლიერ მინდა და მინდა! აი ამ ბებია ჩემმა წიგნი იყის, სულ კერძები, მასწავლე-მეთქი, მავრამ რომ მოცალება არ არის! ე ოხერი ხან ხენაა, ხან თესეა, ხან შეშა გვინდა, ხან წისქვილი და სული ველარ ამოგეითქვამს.

— მაშ წამოდი, წამოდი, ჩემო დათა, — მევობრულის ალექსით ეხვეწებოდა ილიკო.

იმანაც თაეისთეის ჩაიცინა, ჩაფიქმდა, ეტყობოდა იმსაც გული მისწერდა ქალაქისკენ, იქაურ ცხოვრების გასაგებად, აეისა და კარგის შესატყობად თაეის სოფლურ ვიწრო ცხოვრების გარეშე, და ვერა გადაეწყიტა რა კი.

— ჰა, ნინო! — ეხლა ბებიას მიპართა ჩემმა შეიღმა: — გაგვა-ტანე, ისეთი ბიჭი მოგიეიდეს, რომ შენ მოწონებული.

— მართლა და თუ გამეტებთ, ნინო, ურიგო კი არ იქნება, ქალაქში ხელობაზედ მიგიცემ და ოთხ-ხუთ წელიწადზედ დახელოენებული წაჟაფაც დაგიბრუნდება, — ეუთხარი მეც ნინოს.

— წიგნი, ხელობა, რა კარგია და!!... თაეის მოქექით სთქვა დათამ.

— თავის ნებაა,—სთქვა ნინომ და ამოიოხხა: — ჩვენ მაგას გზას  
 როგორ დაეუქერო, მაგრამ ჩვენ რალა გვეშელება, ჩვენ ვიღამ უნდა  
 გვაჭამოს პური?! ქალაქს წასული გლეხ-კაცი, თავის მიწა-წყალს  
 მოწყვეტილი, მერე სოფელში აღარ გამოდგება, თვალი სულ სხეა-  
 გან ეჭირება... და ნინომ აქ ურემლებიც გადმოყარა.

— რა გატირებს, ადამიანო?!—დარბაისლურად უთხრა დათამ  
 ბებიას:—განა მე არ ვიცი, რომ უჩემოდ თქვენი ყოფნა არ იქნება!  
 თავს როგორ დაგანეხებთ! რა ვქნა, რომ აქ ჯაფა ბევრი მაქეს, ჯა-  
 ფას როგორ გავექცევი, კაცი არა ვარ, წელში ხომ არ გადავწყდე-  
 ბი?... ერთი უღელი ხარი მყოლოდა, მაშინ მე ვიცოდი, მაგრამ...

ეს სიტყვები ისეთის დალაგებით და სიმტკიცით იყო წარმოთ-  
 ქმული, რომ მე უნდობლივ სიცილი წამსკდა, ნინო კი თვალურემ-  
 ლიანი, მაგრამ კმაყოფილი და ბეღნიერი გადაეხვია თავის ნუკეშს  
 და მაგრა გულში მიიკრა.

მეორე დღეს მშენიერი, ბრწყინვალე ღილა გათენდა. ჩვენ ად-  
 რიანად გავემგზაერენით შინისაკენ. მთელი გზას ჩემი იღიკო სულ  
 იმას მემუდარებოდა, რომ დათასთვის უღელი ხარი გვეყიდნა; იმისი  
 თხოვნა ისე წრფელი და გულმწურვალე იყო, რომ მე უარი ერ  
 ვუთხარ, და მეორე დღესვე ორი კარგი ჯინშის მოზევრი, რომელნიც  
 ჩვენი საქონლის თვალს შეადგენდნენ, დათას კარს მიეაყენეთ.



მამალი და ძაღლი



როხელ მამალმა ძალლს უთხრა:  
,,ჩემო ძმაო მურიაო!  
ამ ქეყნიური ცხოვრება  
სულ მტრობა და შურიაო!

, „ერთი სთესაეს — მეორე მკის,  
აღარ უდებს მთესველს წილსო,  
და ვინ მოსთხოვს სამართლსა  
უსამართლო მიწის-შეილსო.

, „აი, გინდა, ჩენ თავზე ვსთქვათ:  
არ გეიგდებენ ლირსად ყუჩისო!..  
საკადრისად ვინ აფასებს  
ჩენს შრომს და სამსახურსო?

, „უჩენოთ კი რა იქნება,  
შენც ხომ იცი, სოფელიო!  
ახი არის, აღამიანს  
რომ აეაღოთ ჩენც ხელიო!

, „გაეშორდეთ და ჩენც სოფელი  
აეიშენოთ საკუთრადო;  
მერე დავჯდეთ და ეიცხოვროთ  
მევობრულად და ძმურადო“.

— ძალლმა უთხრა: „კარგად ამბობ...  
მომწონს შენი განძრახეაო,  
მაგრამ ორი რას ეკუოფით,  
თუ არ იქნა კიდევ სხვაო?“



—ჩეენც ეიქმარებთ!.. სხეა რათ გვინდა  
ლახუსტაკი და გუნდაო?  
შენ იყეფებ—მე ვიყიელებ,  
და სოფელს, სხეა რა უნდაო?..

—  
დათანხმდენ და გაემგზაერნენ,—  
გამონახეს მყუდრო კუთხე;  
სამოსახლოდ აირჩიეს  
საუცხოვო მაღალი ხე.

—  
მურიკელამ იმ ხის ძირად  
მოიმზადა მშრალი ბინა  
და ყეფით რომ დაიღალა,  
გაგორდა და დაიძინა.

—  
მამალი კი ხეზე შეჯდა.  
აკაპანდა... იფრთქიალა  
და ლამითვე დაიყიელა...  
გათენებას არ აუალა.

—  
თურმე ახლოს მელა იყო,  
გაიგონა, გაუკეირდა;  
იცა სუნი!.. აცუნცულდა  
და ხეს დაუპირდაპირდა.

—  
პირი ნერწყეით გამოვესო,  
მამალი რომ ხეზე ნახა.  
გააციეა... გააზმორა...  
გააფჩინა ნდომით ხარხა

და შესძახა: „რა გაყივლებს,  
რომ არავის გვასცენებო?“  
ის მაყივლებს, რომ საკუთრად  
აზალ-სოფელს გაშენებო!..

— ისემც კარგი დაგემართოს!...  
კარგი აზრი მოგსცლია!...  
მაშ ჩამოდი, სამოსახლო  
მამიზომე!.. მადლიაო!

— ბატონი ხარ! სამოსახლოს  
აბა როვორ დაგიჭერო!  
მაგრამ ნება და თანხმობა  
აგილია განა ჯერო?

„თუ არა გაქვს, მამასახლის  
გამოართეი; — მანდვე წევსო,  
გაალვიძე და უთხარი!..  
იმან იცის, ის მოგცემსო.

დაიჯერა სულ-წასულმა,  
აერია გზა და კუალი;  
მურას თაეზე ჰეწატყდა,  
სიწუწყემ აუბა თვალი.

წამოვარდა ძალლი ზეზე,  
სტატა კუდში მარჯვეთ პირი  
და მისთანა თქვენს მტერს, იმას  
დააყენა გასაჭირი!...



ପାତ୍ରାଳ ଏବଂ ଲାଖାଳିନ୍ଦା  
ମିଳି ଦିନବିଲ୍ଲ-ମାମଳିଲେ କେଣ୍ଟିଗି:  
ଶ୍ରୀରାଜ୍ୟ ରୂପାରୀ ଗାଲାବନୀ,  
ମିଳାକୁଣ୍ଡିରୀ କୁଣ୍ଡିଲେ ହିଙ୍ଗି.

„ଯାଏ ଲେଖା“ ଦାଶିଲିଗିତା  
ଗାନ୍ଧିଲେ ସିମିରିତ କୁଣ୍ଡା ମେଳା!...  
କିଲ୍ଲେ କାରଙ୍ଗି, ହନ୍ତ ସାଥରାଲାନ୍ତ  
ହନ୍ତଗାନ୍ତରୁ ନିଜା ତାଙ୍କେ ଉତ୍ସବେଲା.

ଶ୍ରୀରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀରାଜ୍ୟ ଲା ନିଜେଲାନ  
ମାନ ଦିନବିଲ୍ଲେବେ ଗାଲମିଲାନାହା:  
„ମିଳାକୁଣ୍ଡା, ହନ୍ତ ତକ୍ଷେନି ତାଙ୍କେ  
ହେଠ ଲେଖିଲାପ ଏବଂ ମେନାହା!

ମେ କେମି ହେଠି ଲାଭେମାହିତା,  
ମାଗରାମ ତକ୍ଷେନିପ କି ଉନ୍ଦା ଗିତକରାତଃ  
ତକ୍ଷେନ ହନ୍ତ ସମ୍ଭାବିଲେ ଆଶ୍ରେବତ,  
ଲାଗିଲାହେବାତ ତକ୍ଷେନ୍ତି ନଥାତ!

ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଦିବ



იმერლის და ქართლელ ბაშვის  
შეხვედრა



**U**რთ ქალაქში სცხოვრობდა ემაწვილი, სახელად სანდო. ბაშვი მალიან კონერი, კაი გულისა და კაი ხასიათისა იქ, მხოლოდ ერთი ზე სჭირდა — არ უვარდა სწავლა, წიგნები თვალის დასანასავად ეჯავრებოდა, ცუდაობა და უსაჭმოდ ხეტიალი მოსწონდა.

ოდონდ კი წიგნების და სწავლის სახელს ნუ გაუხსენებდნენ და სხვა ეველაფერში მორჩილი, გამორნი ემაწვილი იქ.

ეს ეოველთვის მხიარული და ცოცხალი ბაშვი, ხელში წიგნს აიღებდა თუ არა, კატუნასავით მოიბუსებოდა, დაღონდებოდა, ძილი მოერეოდა, იმდენს ამთქნარებდა, რომ ჟები გვერდზედ მოქმედოდა.

ერთხელ ამის მამამ დააპირა იმერეთში წასელა თავის ნათესავთან რაღაც საქმეების გამო და იფიქრა:

— მოდი სანდოს თან წავიუვან, იქნება ხსალ ალავას გამაცემალოს და ხალისი გამოიჩინოს რისიმეო.



მამა და შვილი მალე გაემგზავრნენ. სანდოომ უდაბნართია  
სა თუ არა ძორიდამ, ტკის ახლო, კოჭწია ხის სახლი,



სისარულით გული აუფანცქალდა. აბა აქ შეეძლო კარგი დორს  
გატარება! მამა საქმეებში გაერთობა და ვინდა მოაკონებს ამას  
საძაგლი წიგნებს, — მთელი დღეობით ტკები ირბენდა.

მართლაც მეორე დღსვევა სანდოომ დაიხურა ბიძიას  
ნაჩუქარი ფაფანაკი და მთელი დღე დარბოდა გარე-გარე.  
სხვათა შორის ბიძიამ აჩუქა სანდოოს კიდევ მძვენიერი,  
ზაწაწა, მინ გაჩვეული, თეთრი კურდღელი და, როდესაც  
სანდოო წავიდოდა სასეირნოდ ტკები, თან წაიკანდა ხოლ-  
მე ამ კურდღელსაც.

ერთხელ ეს კურდღელი სხვა კურდღლების დანახვაზედ  
უცრად გაუსხლტა სანდოოს ხელიდამ, ბუჩქნარში შეძრა,  
იქიდამ სხვაგან გადახტა, ბოლოს სადღაც სმირ ტკები  
ისე მიიმალა, რომ სანდოომ თვალი ვეღარც კი მოჰქრა.

შეწუხებული ბაძეი უვირილით გაედევნა:

— სად წამიხველ, ჩემო კარგო, მოდი, რა გაჭამო!  
ცლექი კურდღელი უურსაც არ იძერტედა, მხოლოდ სან-

და-ხან ბუჩქნარებში ერთ წამს თეთრად რაღაც გამოხადუ-  
ბოდა და სწრაფულად გაქრებოდა სოლმე. კურდღელი ფრინ-  
ველსავით დაჭროლავდა და ემაწვილის ვედრება არაფრად  
მიაჩნდა, უთუოდ ამასაც თავისიანების ნახვა და თავისუფ-  
ლად სეირნობა მოეწონა.

ემაწვილმა დიდხანს სდია კურდღელს, ტანისამოსი ჩა-  
მოეფხრიწა, ფეხ-საცმელი ბუჩქნარში დარჩა, ბოლოს იმე-  
დი გადიწვევიტა, თავი ჩაჭიდა, მოიწუინა...

ამ დროს უეცრად მოესმა ვიღასიც მხიარული სიძლე-  
რა. სანდრო სმის გავონებამ გაასარა.

წინ შეხვდა ერთი თორმეტის წლის იმერლის ბაშვი,  
რომელიც მხიარულად მოლიდინებდა, თუმც იმოდენა ფიჩი  
ჭიდა ზურგზედ, რომ ემაწვილი თითონ ძლივს-ლა სჩანდა.

— მითხარი, თუ დმერრი გწამს! — შეეხვეწა სანდრო და  
მიუხსლოვდა სოფლელ ბაშვს: — სომ არ იცი, ბამია მელ-  
ქისედექის სახლი აქედამ ახლო არის, თუ არა? — რამოდენა  
ხანია ტექში უგზო-უკვლოდ დავეხეტები და გზა ვეღარ გავიგენ!

ეს სიტყვები გლეხის შვილს სიცილად არ ეკოდა უთხრა:

— რას ამბობ! გინდა ბატონ მელქისედექის სახლ-  
ში მიხვიდე, რომელიც დასავლეთისაკენ არის, და შენ კი  
ჩრდილოეთისაკენ მისდისარ. განა არ იცი, მზე საიდამ ამო-  
დის და საით ჩადის?

— როგორ თუ მზის ამოსვლა და ჩასვლა! — სთუა  
გაშტერებით სანდრომ: — მაგას რას მეუბნები!

— იმას გეუბნები, შე კარ კაცო! საიდამ მობრძანე-  
ბულხარ, რომ მაგისთანა უბრალო რამეც არ იცი? — უთხრა  
მკახედ სოფლელმა ბაშვა და პატარა ხანს უკან ტებილად  
დაუწეო:



— კარგი, ნუ იწუნ, მე გაგაცილებ სახლამდის და  
გზას გაპოვნინებ. აი, სედავ, მარცხნივ მზე ჩადის — ის  
დასავლეთი იქნება და ოოდესაც დასავლეთი მარცხნივ არის,  
აღმოსავლეთი მარჯვნივ იქნება. მაშინ ჩრდილოეთი წინ  
მოგვექცევა და სამხრეთი ზურგს უკან დავკრჩება. რადგან  
ბატონ მელქისედექის სახლი სამხრეთისეკნ არის, მივბრუნ-  
დეთ და ისე დავადგეთ გზას. აი ესლა, მარჯვნივ გვექნება  
დასავლეთი და ჩრდილოეთი-კი უკან დარჩება ეს რა მნე-  
ლი გამოსაცნობია?

— მერე ვინ გასწავლა ეგა? — ჰქითხსა სანდრომ.

— ჩვენ სოფლის სკოლაში ვისწავლე. მე მიუვარს ევე-  
ლაფრის შეტყობა. მასწავლებელი მცოდნე და კაი კაცი გვეხავს,  
რასაც ჭითხავ, ამისსნის სოლმე. მე მიუვარს სწავლა, მა-  
გრამ მამა-ჩემი ღარიბია. სულ ერთი მტკაველი მიწა გვაქვს  
და სახლში-კი ცხრანი ვართ. მეც უნდა სკოლა მალე და-  
ვტოვო და ოჯახს შევეჭველო.

სთქვა ეს და ღრმად ამოიოხრა.

— მერე რად ვინდა, ოომ ბევრი იცოდე და ნასწავლი  
იუთ? — ჰქითხსა გაკვირვებით სანდრომ, ოომელსაც ასეთი სი-  
კვარული სწავლისა ვერ გაეგო, და დაუმატა:

— უთუოდ ან მღვდლობა გწადიან ან სკოლის მასწავ-  
ლებლობა?

— არც ერთი და არც მეორე... მე მინდა მოგზაურობა,  
მინდა სხვა ქვეუნები ვნახო, უკელაყერი შევიტუო და მცოდ-  
ნე კაცი გამოვიდე.

ნატარა იმერელს ამ სიტუაციები თვალები აუპრიალდა  
და აღელვდა.

სოფლელ ბაშვის ლაპარაკმა სანდოოც დააფიქრა. ყმა-  
წვილმა ჩაიხედა თავის გულში, იმასაც მოეწონა მოგზაუ-  
რობა, იმასაც მოუნდა კარგ ჭრვიან კაცად გამოსვლა და  
იმასაც გაედეიძა მიურუებული და მიძინებული სურვილი  
ცოდნისა.

— მეც მინდა გავხდე ნახწავლი და გამოვიდე გამოჩენილი  
კაცი! — ფიქრობდა სანდორ: — მაშ სოფლელმა მე უნდა მა-  
ჯობოს! თუ-კი მაგას იმედი აქვს ისახელოს თავი, მუ-კი  
ჟან ჩამოვრჩები!

ცოტა ხანს ბაშვები, გართულნი თავ-თავიანთ ფიქრებში,  
ჩაჩუმებულნი მიდიოდნენ.



— მოიტა გიშეელი მაგ ფიჩის წაღებას! .. სმირად და-  
იარები ამ ტექში! — დაეკითხა სანდორ.

— როგორც — კი სწავლას გაგათავებ და თავისუფალ დროს ვიპოვი. გარდა ამ ფიჩნისა, რომელიც მიმაქვს სოლმე სახლში, აქ ვაგროვებ კიდევ სსვა-და-სხვა უვავილებს და ბალასებს წამლებისთვის, აფთიაქმი ვუზიდავ და იქ გროშებს მაძლევენ, ამ გროშებს ვაგროვებ და წიგნებს უვიდულობ... შენ რაღად წამოსულსარ ასე შორს ბიძიას სახლიდამ?

— მე ჩემ კურდღელს გამოვუდევ. ის სამაგელი გამექცა და ვერ დავიჭირე... მალიან მეწერია, შევეჩვიე.

— ბიძია შენს რომ კურდღელი ჰყავდა, იმაზედ ამბობ?

— ჰორ-დე!

— მაშ ნუ სწუსარ, იმის პოვნა მნელი არ არის.

ბაშები მოდიოდნენ ლაპარაკით და სოფლელი გზა-დაგზა უსტივენდა. ჩატარა სანს შემდეგ მოისმა ფოთლების შრიალი. სანდრო შედგა.

— ერთი უურე და! — იმახის ჩუმად სანდრო და ბუჩქნარზედ ანიშნებს.

— ნუ! არ გაიქცეს, ხმას ნუ ამოიდებთ.

სანდრო გახსარებულია, იმისი კურდღელი, იმისი საუარელი კურდღელი აქ არის. დახე თეთრ გრძელ უურებს როგორ ათამაშებს, რაღასაც დაემებს, სუნავს, მერე ერთბაშად ხმაურობით გადახტება ერთი ბუჩქიდამ მეორესთან და შეახტება სოფლელ ბიჭს შხარზედ.

— მაშ შენ ჩემი კურდღელი შეჩვეული გეოლია? — შეპუშირა გახსარებულმა სანდრომ.

— ჩემი გაზდილია და მაშ არ მეუღლება შეჩვეული? ბუდიდგან მე მოვიუვანე, ჯერ რომ ისევ ბაჭია იყო. ობ-

ლად დარჩენილი საცოდავი, უტომბა მონადირეს მოკლა ამის ღერა. ჰაწაწა კურდღელი მშერი მოკვდებოდა, მე რომ არ დამენასა და არ მიგმელებოდი, — ნაძვილი ღერობა გაფუწიე და ესეც მაღლობას ამითი მიხდის, რომ შემოჩეულია ჩემთან, საჭმლის მიტანის ღროს მე უოველოვის სხვა-და-სხვა სიმჯრებს ვუსტვენდი და უველა ჩვენის სიძღერების სმებს იცნობს!.... მე მხოლოდ ბოლოს მივუცი შენს ბიძიას... ჩემთვის მალირნ საჭირო იყო რობინზონის წიგნი და რუპა!

— რუპა!? ეს რა ცხოველია!

ჰატარა იმერელმა გადისარხარა და უთხრა:

— ეს რა მესმის! რუპა ცხოველი გგონია? ეს ხომ სქელ ქადალდ სედ ნახატი დედა-მიწაა. ერთი მითხარი, თუ დმერთი გწამს, სადაური ხარ?

— ქართლელი გახლავარ! -- უთხრა თავმოწონებით სანდომ.

— თუ უველა ქართლელები აგრეთი მცოდნენი ხართ, სწორედ კარგები უოფილხართ! — და ჰატარა იმერელმა დაცინვით მმიმედ თავი დაუკრა.

სანდოო ჭარხალსაუით გაწითლდა. განა ამაზედ მეტი შერცხვენა უნდოდა. დახეო, ამ იმერელმა როგორ დაამცირა ქართლელები!

— რა თავი მოგაქვს, რომ ცოტა ჩემზედ მეტი იცი? — უთხრა სანდოო გაჯავრებით თავ-მომწონე იმერელს. მე რომ მინდოდეს, შენსედ ათასწილად მეტი მეცოდინება: შემძლე მამა მეავს და რა წიგნებსაც მოვინდომებ, უველას გზი-დვინებ.



— მაშ უფრო დიდი სიღცხვილი, რომ არა იცი რა. მამა ჩემს რომ შეძლება ჰქონდეს,—სოჭა ნაღვლიანად პატარა იმერელმა:—დღე და ღამ წიგნზედ გავათენებდი და ისეთი ნასწავლი გამოვიდოდი, რომ მთელ იმერეთს სასახლოდ ვეეოლებოდი.

— წამო ჩვენკენ, ქართლში, ერთად ვისწავლოთ, მერე ვიმოგზაუროთ და ახალ-ახალი ქვეუნები ვიპოვოთ.

— მალიან გარეი—უთხრა იმერელმა, — მსოლოდ იმ პირობით-კი წამოგვევი, რომ ნაბოვნი ქვეუნები იმერლებისა იყოს.

— სულაც არა, ქართლელებისა უნდა იყოს, — მიუგო სწრაფად სანდრომ.

— მაშ არ წამოგვევი, — შენ შენთვის, მე ჩემთვის! ნახე, თუ უფულოდაც კაცი არ გავხდე.... აი შენი ბიძიას სახლიც, მივედით. დაიჭი კურდღელი და შევიდობით, ქართლელო!

— მოიცა, იმერელო! თუ მეც არ ვისახელო თავი და ნახავ!

ემაწვილები გაჭმორდნენ ერთმანეთს. სანდრომ ერთი კიდევ მისმახა:

— სანამ აქა ვარ, მოდი მნახე ხოლმე.

დიდად დაფიქრებული და ნაღვლიანი შევიდა სანდრო სახლში, მთელი ღამე მიღი არ მოსდიოდა. გათენდა თუ არა, შეუვარდა თავის მამას, ჩამოეკიდა უელზედ და სთხოვდა:

— ჩქარა დავბრუნდეთ ჩვენ სახლში, სწავლის დრო მეგარებებაო.



օ թ օ լ ո

շիրու մարտու ռծուլո,  
ზու և յետոնցքս մշակուելա:  
մամ Շն առ չկաց սարցալսա,  
ձաւ ցամուշուլս ցարուելա.

\*\*

ցուլո ցլցա սածրալուս  
զուս և մամու լուգոնշն,  
ցըրը յարո հայկուրուս,  
ցըրը հայուղուլս լուցոնշն.

\*\*

ցըդա-յո սեյացան չցոնուս,  
Շուրս սագլաւ սալուցաւաւ,  
ցըր մոեցցըդրուլս, ույ մամս  
հուտոյուս պայուս Շացաւ.

\*\*

լամիս. յարո ցրուալցքս,  
ցոնուս չկցուց յարութից;  
Շն-յո քարահաս Շունցան  
Որցմու համուսդուս ուցալցքից.

\*\*

հա դակլցքս բուրուստ  
և չգումս մոյթիցնցքս,  
կյուրուս Շն ցարաւոնցքից  
մորցքս, մոյսնցքս.

\*\*

ցըդասա չեցաց սոնիմակն,  
լոմիուլս մուսդուս քորիցքս,



კაბის ლილს უხსნის, ძუძუშე  
ჰყოლის და ვერის ეინზედა.

\*\*

რაკი დასტებება ალერსით  
და შშობელ დედის ყურებით,  
გულ-ამომჯდარი ტიტინებს  
კალთაში საყველურებით:

\*\*

— საღ დამემალე, საღ წახელ,  
ეისთან იყავი, დედაო?  
სამი ღამეა მშიერი  
ეიძინებ ზედი - ზედაო.

\*\*

,,ურის არეინ მიგდებს, ცალიერ  
კუჭს ძლიერს ეიძღობ პურითო,  
რასაც ესჭამ, ისიც საცხა  
ნაცარითა და მურითო.

\*\*

,,ნულარსაღ წახეალ, დედილო,  
შენს ძუძუს ვენაცვალეო!  
თუ ფუფალასთან წახეიდე,  
მეც შენთან წამიყვანეო...

\*\*

— იძინე, ჩემო პატარავ,  
იძინე ტკბილის ძილითა;  
წყნარად გულ-დამშეიდებულსა  
გაგელვიძება დილითა.

\*\*

,,ცხადად ვერ ნახავ დედასა,  
ვერ ჩაეკერები უბეში,  
გული კვლავ აგიტირდება,  
მაგრამ დამერთია ნუგეში!

## ცერის ტოლა თოშა

(ინგლისური ზღაპარი)



ასელ-განთქმული მისანი მეზავრად მიდიოდა ერთ-  
ხელ. ჩამოხდა ერთ დარიბ თჯახში დასასევნებ-  
ლად და სთხოვა, დამე გამაოვეინეთო.

სახლის ჰატრონის ცოლმა დიდი ჰატივისცემით მიიღო  
მეზავრი. ერთი ჯამი რძე მიართვა და სონხა ჰური.

თჯახში დიდი სისუფთავე და წესი იუო, მხოლოდ  
სახლის ჰატრონს ძალიან ნაღვლიანი სახე ჰქონდა. მი-  
სანმა გამოჭკითსა მისები და შეიტეო, რომ უმვიდობა  
ასაღვლიანებდა ამის ძაბუნელს.

— ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზედ აღარავის იქნებოდა,  
მე რომ მუოლოდა თუნდ გაუგაცის ცერის ტოლა ვაუ-  
შეიღი, — უთხრა ტირილით დედაკაცმა.

მისანს მოქმონა ამ დედაკაცის ნატვრა და, დაბრუნდა  
თუ არა შინ, ფერიას სთხოვა:

— წადი და აუსრულე იმ დედაკაცს ნატვრაო.

თქმა იუო და ასრულება. სულ არ გასულა რამდენიმე  
საათი, რაც მისანი წავიდა ამ სახლიდამ, რომ დედაკაცს  
დაებადა ერთი ნასცეცა ემაწვილი.

ფერია ნათლიად გაუხდა, სახელად თომა დაბრექა და  
ბაშვი უცნაურად მორთო და მოკაზმა: მუხის ფოთლებისა  
ქედი დაჭხურა, ობობას ქსელის ჰერანგი ჩააცვა, უურთუქით



ქსოვილის ჩასაცმელით შემოსა, გამლის ქერქისა წინდები  
მოუქმნოვა, დედის ორის წამ-  
წამისაგან საწვივები შეუძრა  
და თავის ტეავის უსსაცმე-  
ლები ჩააცეა.



ძართლა და თომა თავის მა-  
მის ცერზედ ტეტი არ გაიზარდა,

და უურის გდება და მოვლა-კი ამ პატაწინას უფრო მეტი  
უნდებოდა. დედას-კი ავრე რიგად არ ესალისებოდა შეი-  
ლის მოვლა. ხოგჯერ პატარა თომა თავის ტოლ ბაშებს  
ჩაუძრებოდა ჯიბეში და ამოაცლიდა რაც-კი რამ სიღს  
იამოვიდა. თუ თომას მოასწორებდნენ ქურდობაზედ, დიდ  
სასჯელს მიაუენებდნენ, პარკუჭანაში ჩასვამდნენ, შიგ ჩაჟე-  
რიდნენ ბალის კურკებს და იმდენს აჯაღადებდნენ, სანამ  
საწეალ თომას კურკებით ხელ-ფესი არ დაჟვეუბოდა. უმა-  
წვილი გედრებით პირობას აძლევდა, რომ კვლავ ადარას  
მოვინარავო.

ერთხელ დედამ მოამზადა შაქრის პურის გასაკეთებლად  
უკელავერი, რაც-კი მოუწიდებოდა, და ჯამით მაღლა თა-  
როზედ შესდგა. თომას მაღლის მოუნდა ნახეა, ჯამში რა  
არისო და უეცრად-კი მოსელილ ცომში შიგ ჩაიფლა.

თომას უნდოდა თავი დაეღწია, შეჯგა თავის პატარა  
ფეხზედ და ისე საძინლად იწევდა თავს და ხელებს, რომ  
მოსელილი ცომი ავიდა და დავიდა. დედას შეეძინდა, ეგო-  
ნა, უთუოდ ცომს შეულოცა ვინმეო, და უთხრა მენასძი-  
რეს, რომელიც აქვე შეესწო:

— წაიღე, შენთვის მომიცია ეგ ცომიო!

მენახშირებაც ცომი ერთიანად ჰარკში გადიღო, ზურგ-  
ხედ წამოიკავა და გასწია.

თოვას პირი სავსე ჭიონდა ცომით, მაგრამ უცადა და  
დიდის წვალებით მოიძორა ეს ცომი პირდამ და ისეთს  
ღრიბალს მოჰქევა, რომ შეშინებულმა მენახშირებ ცომი ღო-  
ბეზედ გადისროლა. თოვამ ესლა ტანიდანაც გადიუსიკა  
ცომი და კოჭლობით გასწია დედ მამისკენ. დედმ აბანავა  
თავის საბორალო შეიღლი და ჩააწერა ქუშაგებში.

ერთ ქარიან დღეს დედა სწელავდა მროსას და თო-  
მაც მივიდა საუკ-  
რებლად. დედას  
შეეძინდა, ქარმა  
არ მოიტაცოს ჩე-  
მი შეიღლიო, მანამ  
ძროხას ვწველა-  
ვო, დამიაბა თავის  
ახლოს სეზედ.  
უცრად მოესმა  
საბორალო სმით  
უკირილი:

— დედი, დედი!  
მიშველე ჩეარა!

— სადა ჩარ, ჩე-  
მო ჰაწაწინავ?—  
ჰქითხა შეშინე-  
ბულმა დედამ.

— აქა გარ, მრო-  
ხას პირში ვუზი-  
გარ, საცაა გადა-  
მელაპავს!





მროხა ხის ძირის ბალასს დასწოდომოდა და პირი მოუვალო  
შესაჭმელად და აკი პატაწინა ბაშვიც თან აჲეოლიურ თურ-  
მე. თომას ბერზედ მროხას ცოტა ხანს პირი დია დარჩა,  
თომამ დაიწეო უკირილი და პირიდამ გამოვარდა. დედამ  
მიაშევლა ქალთა და წამოიუკანა შინ.

შეძლებშიაც ცერის ტოლა თომას უთვალავი ამბები  
გადასდა. ერთხელ მინდოორში დასეირნობდა. უგაშმა საუ-  
მელთან ერთად აიტაცა ეს პატაწინაც და ერთ კლდის წკერ-  
ზედ დასვა. თომა იქიდამ ზღვაში შაცურდა, სადაც ჩვენი  
საბრალო პატაწა თევზმა გადაელაპა.

ეს თევზი იქვე მეოუვზებ ბადები გააბა და, რადგან მა-  
ლიან მსუქანი და დიდი იუო, მეოუვზებ სელმწიფეს მიარ  
თვა. თევზი რომ გასცრეს, თომა ცოცხალი-კი ამოძერა.   
სელმწიფე აღტაცებაში მოვიდა, ამისთანა პატარა ქონდრის  
გაცი რომ ნახა. ქონდარა თავისთან აიუვანა და სასასლე-  
ში ცალკე ოთახი მისცა.

სელმწიფე რომ სანადიროდ წავიდოდა, სშირად დაიუ-  
ნებდა ხოლმე თომას უნაგირის თავზედ, წვიმა თუ მოას-  
წრობდა, უბები ჩაისვამდა.

ერთხელ სელმწიფებ დედ-მამაზედ ჩამოუგდო ლაპარაკი  
და, როდესაც შეიტეო, რომ თომა დარიბი დედ-მამის შვი-  
ლიაო, უბძანა:

— წადი ნახე შენი დედ-მამა და იმოდენა ოქონ წაუ-  
ღე, რამდენის წაღებასაც შეიძლებო.

თომამ იძოვა ფულის ქისა, შიგ ჩადო ერთი ოქონ

და აიგიდა ზურგზედ. ქისის ზიდვა ისე ემიმებოდა, თი-  
თქოს სავსე ტოშარა ჰყიდიათ. თომამ ორი დღე და ღამე  
იარა დაუსკენებლივ და დაღალულ-დაქანცულმა მლივს მიზღწია  
თავის სოფლაძის. ოაც თომამ ორ დღე-ღამეში გაიარა,  
სხვა ორ-სამ საათში გაივლიდა.

დედ-მამას შეიღას ნახეა ძალიან გაეხარდა; უკირდათ  
ამოდენა ოქროს როვორ მოერიბო. თომა თხილის ნა-  
ჭუჭმი ჩასუეს, ცეცხლა-პირას მოუსუეს და სამი ღლის გან-  
მავლობაში თხილს აქმევდნენ. თომას მაინც გული მის-  
წევდა სელმწიფისაკენ. მავრამ წვიმებისაგან დედა-მიწა სეე-  
ლი იუო და ვერა ბედავდა წასკლას. დედამ უშეელა,—სელის  
გულსედ დაისვა ჰაწაწინა თომა, შეუბერა და სელმწიფის  
ქარზედ კი ამოაუოფინა თავი.

სელმწიუის სახლის კარის კაცი უველას უკარდათ  
ჯერიალა თომა, ერთობოდნენ იმის ცელქობით. პატაწინა  
გაცი ღაბადებით მამაცი და გამბედავი იუო, უკარდა გაე-  
გაცობის გამოხენა, თოფის სროლა, შების და ხმლის ტრი-  
ალი. მხოლოდ და ხანს ვერ იტანდა ამ ჯადას და ერთ-  
სელ ისე მალიან მოიქინცა, რომ ჭინავამ თან გადმჰევა.

ნათლია-ფერიამ შეიძრალა თომა, ჩაისვა თავეებ შებ-  
მულ ეტლში და წაიყვანა თავის სასახლეში, მოუარა, მო-  
არჩინა და ისევ მოიუვანა სელმწიფესთან.

ალალ-მართალ თომას ერთხელ დასწავეს, ვითომ სა-  
სახლის მზარეულის მოწამლა სწავლით. ცერის ტოლა

ქონდოის კაცი ბეჭრს მართლულობდა თავს, მაგრამ მაინც ვერას გახდა და სიკვდილი გადაწევიტეს.

ამ დროს თომამ ნახა, რომ ერთი მეწისქვილე პირ-დაღებული შესცეკროდა ამას, აიღო და პირში ჭიაუძვრა. ვერავინ მისვდა, სად გაქრა თამა; მაგრამ რა მოასვენებდა თვით თომას! მოჟევა მეწისქვილეს გულ-მუცელში სეირნობას, ულამდის ადიოდა და ჩადიოდა. მეწისქვილე მაღიან იტანჯებოდა და ვირ გაუგო-კი მიზეზი. მოავალი ექიმი მოღალა თავის მოსარჩენად. ეველა ექიმი აძლევდა /წამალს, მაგრამ ვერავინ ვერა უშეველა-რა კი. მეწისქვილემ უცაბედად ერთი ისე დაამთქნარა, რომ თამა თავის საპერობილედამ ამოვაზდა და დაეცა მეწისქვილეს წინ. მეწისქვილე მისვდა, რომ ეს პატარა სურიელი იუო იმის ავადმყოფობის მიზეზი, საშინლად გაჯავრდა, სტაცა სელი და წეალში გადაუძახა. საწეალი თომა წეალში კიდევ თევზმა გადაულაპა.

ჰაწიკუნამ აქედანაც მოახერხა თავის დაღწევა და უკრად გამოესახა სელმწიფეს.

სასახლეში უველამ იცოდა, რომ თომა უდანაშაულოდ იუო დასჭაილი და სელმწიფემ წეალობის თვალით მიიღო ჭუჭა, აზნაურობა უბოძა და მშენივრად მოართმევინა: ჰეპელას ფრთების ჰერანგი შეუკერეს, ქათმის ტუავის ფეხ-საცელი, ნემსი სანჯლად გაუკეთეს და თავი ცხენად მეუკმაზეს.

ცერის ტოლა თომა ასე მორთული სელმწივებს და იმის ამაღას მისდევდა სოლმე ჩანადიროდ, იმის ცქერით უველა აღტაცებაში მოდიოდა.

ერთ დილას, როდესაც თომა თავისებ ძაღლომი თავ-მომწონებ დააქროლებდა, უეცრად კატა დაეცა თავის, კლანჭები ჩაუგდო და მოიწადინა იმის შეულაპვა. თომამ



იმრო ხმალი და სამინელი ცხოველი გააქცუნა. კატის კლანჭებმა თომას მაინც ტანისამოსი დაუხია და გული მალის დაუკარწოა.

ნათლია - ფერიაშ თომა ეხლაც თავისთან წაიყვანა მო-სარჩენად, მერე ერთი შეუბერა და ისევ სასახლეში და-ბრუნა.



იმ სანად ამისი მწეალობელი სელმწიფე გარდაცვლილი, და ასლად ტახტისედ ასული-კი ამ ჩატარა ჯუჯას არ იცნობდა.

— ვინა სარ შენ? — ჰქითსა თომას, სა-  
სახლები რომ ნახა ასალმა სელმწიფემ.



თომამ უჩასეუსა:

— მე გასლავარ ცერის ტოლა თომა; ნათლიასაგან  
მოვდივარ, წინეთ მე უოველთვის სასახლები ვცნოვობდი,  
სელმწიფეს გუვარდი, მვარველობდა, აზნაურობაც იმან  
მიბომა.

— კარგი, დარჩი, მეც კარგა შეგინახავ, — უთხრა ასალ-  
მა სელმწიფემ.

სელმწიფემ საჭუთარი სასახლე აუშენებანა თომას, სი-  
მაღლით მტკაველ ნახევარი, ერთი მაღალი სელიც გაუშე-  
თებინა, რომ სადილზედ თავისთან დაესკა.


არას დოს თომა ასეოს განცხოომა - ბედნიერებაძი  
არა ეოფილა, როგორც ეხლა, მავრამ წეალობა ხომ დიდ  
სანს არ გასტანს. სელმწიფემ თავის საუვარელს უბომა  
ეტლი, შებმული ქქვსი თეთრი თავით.

ამაზედ სელმწიფემ ცოლი განრისხდა: რატომ მე კი  
არ მაჩუქაო და ცილი დასწამა თომას: ჯუჯამ მაწე-  
ნინაო. სელმწიფემ ამის გამო სასტიკი სასჯელი გადუ-  
წევიტა თომას.

უიმისოდაც დონე მისდილმა თომამ თავი შეაუბრა  
ლოკოკინაძი; იქ ისე დიდ ხენს დარჩა დაწევდეული, რომ

ის მაღ-ღონეც დაკარგა, რაც ჰქონდა. ბოლოს როგორც გამოვთ იუიდა საბნელეთიდამ და რომ არ სჩვენებოდა გა-ჯაბრებულ ხელმწიფეს და განრისხებულ ხელმწიფის ცოლს, სასახლიდამ გაიქცა, შეახტა ზურგზედ პეტელას და იმანაც სოფლისკენ გააქანა.

თომა ვერ ატარებდა თავის ნებაზედ ამ ფრინველს, რადგან არც უნავირი ჰქონდა და არც აღვირი. ამიტომაც თავი ვეღარ შეიძაგრა და დაეცა ერთ კედლის ძირას. იქ ერთმა დიდმა ობობამ გმელი კლანჭები ჩაუსარა. თომამ



თავის ჭარაცველად იძრო სანჯალი, მაგრამ სანჯალმაც ვერა უშეველარა ცერის ტოლა თომას, შეუბრალებელმა, სამაველმა ობობამ შესაძი შეასხა თომას და ამ შეამმა თან გადიტანა ჩვენი პატაწინაც.

ასე გათავდა ცერის ტოლა თომას ამბავი.

## Ն Օ Հ Շ Թ Ա Տ Բ Ի Ց Ո Լ Ո



Գործա եահօ նոյսհա  
 մահցալութիսա պրցմձոտա:  
 „մըշիւա հեմի քարհոն  
 վլցութա սղոյրոտա;  
 Ըամացգա միմյ սղցլո  
 յուսերիչյ ռահու եցլոտա;  
 Ծոլոտ ծինճամց ռողլսա ցլցրո,  
 Վո՞յո սցոթլոտա պելոտա...”

—  
 Ըլց համուցլոց բանջցոտա,  
 բանջցոտա գոած մելոտա,  
 առ մալորսցեցն ապյուհս,  
 մամցն արկոսա վնցլոտա,—  
 ցաթմեծա, չյեմոմոյուրցեծս,  
 միթաւ-լա դացլոյց ցնոտա.

—  
 Խայիցրցեցար Շայս մաժաս,  
 մյը գլունո մի՛շացլցեցիան;  
 Մյերց լա մոսամերցցեծո  
 նյց սղցլիցելա մևելցեցիան.  
 Վո՞յո լունց-մաթցոլո,  
 Տօնելուսա կըլցեծո մըցեցիան,  
 ույց մյ մըցմցն, ույց մյ  
 թըցելուան, մոջացրցցեցիան.

—  
 Ես դացոինքյ սղցլս վըշ,  
 Ըլց դամոնելու Շայսա,

მომკერძა სოფლის სიმუხთლე,  
გუთანში გაეხდი ავალა,—  
განა დამაცლის პატრონი,  
სული დაელიო თავალა?!..  
წამეყვანს დაოსებულსა  
მინდორში დასაკლავალა!...

—  
მინდორო, მინდერის დედაო!  
ნიკორა შეიბრალოდეთ!  
რო მოკვდეს, თქენსა კალთაში  
მიიღეთ, მიიბაროდეთ,  
ნუ გახდი საყვავ-ყორნედა,  
შეილურად შეინახოდეთ!!

თ. რაზიკაშვილი

### ს დ ა ნ ა რ ი

აღმოსავლეთის და დასავლეთის ხელმწიფებისა

(გაგონილი ქართლში, ჩაწერილი თ. რაზიკაშვილისა).



ასავლეთის ხელმწიფემ გაუვზავნა კაცი აღმოსავლეთის  
ხელმწიფეს და შეუთვალა:  
— ჩემმა ცხენმა აქ დაიკისვინა, და მანდ თქენი ცხენი  
გაიმაკა,— როდესაც კვიცი გაუჩნდეს, აქ გამომიგზავნეთ  
ის კვიციო.

აღმოსავლეთის ხელმწიფე შეწუხდა და დატიქრდა; დაუძახა თა-  
ვის ნაზირ-ვეზირებს და ჰყითხა დარიგება. ვერავინ შეიტყო, რას  
ჰინიშნავდა ეს გამოცანა დასავლეთის ხელმწიფისა. ბოლოს გაგზავნა  
ამომაერმა ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირი და უთხრა: — რამდენი ფულიც  
გინდათ დახარჯეთ, ოლონდ ეს ამბავი კი შემიტყეთო.



ნაზირ ვეზირნიც წაეიღნენ, მიდიოდნენ და ყელა სოფლებში კითხულობდნენ. იარეს ასე, იარეს და ერთს სოფელში შევიღნენ. იყითხეს ამ გამოცანის თაობაზედ, ეძებეს კაცი იმის გამომცნობი, და ბოლოს სოფლელებმა უთხრეს ნაზირ-ვეზირებს, რომ აქ ერთს მენახირეს შეიღი ჰყავს და თუ გამოიცნობს ის, თორებ სხვა ვერავინაო.

ნაზირ-ვეზირნი მაშინვე წაეიღნენ იმ მენახირესთან, მისუს ბევრი ფული და წაიყვანეს დასაცლეთის ხელმწიფებისთან. მივიღნენ დასაცლეთის ხელმწიფის სატახტო ქალაქში, და მენახირის შეიღმა უთხრა ნაზირ-ვეზირებს:

— თქვენ მე მიუურეთ და, როცა განიშვით, დაუწყეთ ქალაქის ძალებს ხოცაო.

იმ ქალაქში ისეთი ძალები იყენენ, რომ თითო ას-ასი თუმანი ღირდა. როგორც ანიშნა მენახირეს შეიღმა, ნაზირ-ვეზირებმა მაშინვე მიჰყვეს ხელი და დაუწყეს ძალებს ხოცა.

ქალაქელები გაიქცნენ მაშინვე ხელმწიფებისთან მოსახსენებლად. ხელმწიფემ მაშინვე ბძანა,— მომიყვანეთ აქ ის კაცებიო. მოუყვანეს და ჰყითხა: — რად ხოცავთ ძალებსაო?

მენახირის შეიღმა მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფე! აქედან ერთის დღის მანძილზედ ათასი სული ცხვარი მყვანდა; უცებ გამოჩნდნენ მგლები, შეცვიდნენ ფარაში და დაუწყეს ცხრებს ხოცა. მე ვეძახე ძალებს: „მურავ! ჭრელავ! ბოთვერავ! მომეშველენით, მგლებმა ცხრები დამიჭამეს“. ძალებმა ყურიც არ გაიძერტყეს... აი ამისგულისთვის ეხოუავ.

ხელმწიფემ უთხრა: — კაცო, გიურ ხომ არა ხარ, ერთის დღის მანძილზე ძალები რას გაიგონებდნენო და როგორ მოგეშველებოდნენო?

მენახირის შეიღმა მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფე! თუ აქ თქვენმა ცხენმა დაიკუნხინა, და აღმოსაცლეთის ცხენმა დაიმაკა, განაეს კი შესაძლო არ არისო?

ხელმწიფე გაჩუმდა და ველარაფერი უთხრა. მენახირის შეიღმა ბევრი ფული აჩუქეს და გაისტუმრეს.

ა ბ რ ა მ ი ს ა მ შ ა ვ ი

(გაგონილი ქართლში, სოფ. კარალეთში, ვასო პიბილაშვილისაგან)



ბრამ იყო ღეთის ნათლული,  
მაგრამ შეილი ენატრება.  
—ღმერთო, ერთი შეილი მამე,  
შენთეინ სამღერთოდ მამინდება!

იყო ღეთისაგან ბძანება,  
აბრამს შეილი მიეცემა.  
ერთი წლისა რომ შეიქმნის,  
გულს ნიშანი დაედება;  
ორი წლისა რომ შეიქმნის,  
კარზე გასელა შეეძლება;  
სამი წლისა რომ შეიქმნის,  
ცხენოსნობა შეეძლება;  
ხუთი წლისა რომ შეიქმნის,  
საბჭოეთაც ემზადება;  
ექვსი წლისა რომ შეიქმნის,  
შეილი მამას ემგზაესება;  
შეიდი წლისა რომ შეიქმნის,  
ღეთის პირობა გათავდება.

აბრამი ცოლს ეუბნება:  
— ეს ყმაწილი რად კეთდება?  
არ ვიცი მე, ცოდვილი ვარ,  
ვად თუ მელის უბედობა!...  
შეიდი წლისა სამღერთო მითქვამს,  
მაგრამ აღარ მემეტება!“  
ცოლმა ხელი მოუმართა,—  
ღმერთი როგორ მოტყუცდება!...  
მეუფესთან სამსახური,

არ ოდეს არ წაგეიხდება!...

უდაბურსა წაიყვანე,  
 აღამის ხმა ენატრება;  
 მე „კი ნუ შემატყობინებ,  
 თორებ სული ამომხდება!...“

— ცეცხლი აანთეს ძლიერი:  
 ზეცას ალი აეარდება.

— „მამა ჩემო, შენი საქმე,  
 რა კაცს არ გაუკვირდება!...  
 ქვაბი ლულს და წყალი შრება,  
 სამლოცვს თავი არ უჩნდება!“

— აუ, შეიღო, დამაცადე,  
 საქმე ღმერთზედ მიმიგდია!

— „მამა ჩემო, კარგა შემკარ,  
 არ გეცხოს კალთას სისხლია;  
 ხელ-ფეხი მაგრა შემიკარ,  
 ქვეშით თასი დამიდგია,  
 რომ თასში სისხლი ჩაიქცეს,  
 ძირს არ დაიქცეს წვეთია!...“  
 ღმერთმან იცის, საქმე წახდეს,  
 რა კალთას სისხლი მოგეცხოს,  
 მაშინ საფალალო გახდეს;  
 ესე ჟამი გაგვეყაროს.

აქაც ღმერთმა გადმოპერდოს:  
 — ნეტამც, აბრამ, რასა შერები?

ევრემც ხელი მოგელება!...

გადმოცუშეი ერკემალი,  
 ფეხზე საკეირველად დგება!...  
 ეკ გაუშეი, ეს დაკალი,  
 ლეთის სამსახური ახდება!...  
 შეიღო ისეე „შენი იყვეს...  
 ცხვარი, ძროხა გაგიჩნდება,  
 ცოდო მაღლათ გადგექცევა,  
 შეიღოც ფეხზე დაგიდგება!...“

## პატარ-პატარა

## სამეცნიერო წერილები

## წერილი IV

**ძ**ეირფასო კოტე! მოგილოცავ, ძმაო, ახალ წელს, ღმერთსა ესთხოვ, ისე ტყბილად და თეთრად დავაბეროს, როგორც აი ის თოვლია, იალაბუზის წვერზე რომ ძეეს!

ახლა, ძმაო, წარსულ წერილში დაგპირდი მეამპო შენთვის, რა ხერხით მიაგნო უკედაემა მეცნიერმა ლავუაზიემ და რა გზით აღმოაჩინა, რომ ჰაერი შესდგება უმთავრესად ორ მარტივ სხეული-საგან—მეფებადისა და აზოტისაგან.

ამ ფრანგის მეცნიერ ლავუაზიეს ბეერი ძიების და კვლევის შემ-დევ, 1774 წელში თურქე ერთი ბედნიერი აზრი მოუვიდა თაეში და აი რა გვარ გადმომცა მასწავლებელმა ეს შესანიშნავი ამბავი.

ერთი რამ ლითონი<sup>1)</sup> ყოფილა, რომელიც ისეთი თხელი და მოძრავია, როგორც ცხელი გამდნარი ტყევია. ფერით და სიბრჭყვიალით კი ვერცხლს არ ჩამორჩება. ქართულად ამ ლითონს სინდიკი ეწო-დება და უფრო-კი ხშირად ვერცხლის წყალს ეძახიანო. ამ სინდიკს ვერც შშრალი და ვერც ნოტიო ჰაერი ვერას აკლებს, ესე იგი ჰაერ-ზე რამდენი ხანიც უნდა დარჩეს, უცვლელად რჩება და არც ქან-გი კვიდება, არც სიბრჭყვიალე ეკარგება. მხოლოდ თუ გააცხელეთ, ჰაერის მიკარების გამო, მაშინადევ წითელ წილათი დაიფინება, და-ქანგდება, და თუ დიდხანს გაახურეთ და ჰაერიც თავისუფლად და-სტრიალებს, საქმე იქამდე მიიღა, რომ ჩევნი თხელი და ბრჭყვიალა სინდიკი (ვერცხლის წყალი) მთლად წითელ მავარ ფხენილად გარ-

<sup>1)</sup> ლითონად იწოდებიან: რეინა, კალა, ტყევა, სინდიკი : ნე ვერცხლის წყა-ლი, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, შავევა და სხ...




დაიქცევა და შეიქმნება სრულებით ახალი სხეული, რომელსაც უწოდება: წითელი წილა სინდიკისა.

როგორც მასწავლებელმა მიამზო, ლავუაზიემ სინდიკის ამ გვარ თვისებით აი რა ნაირად ისარგებლა:

ამ მეტნიერმა ჩასხა აყროვ გოგრის მაგვარ შუშაში 32 მისხალი სუფთა სინდიკი (ვერცხლის წყალი). შუშის მოგრეხილ კისრის წერი ჩაღო ტაშტის მაგვარ ჭურჭელში და აქაც ვერცხლის წყალი ჩასხა და ზემოდგანაც ზარის მსგავსი შუშა, ანუ შუშის ქილა, დამხო.

ასე რომ გააწყო ლავუაზიემ თავისი მანქანა (იხილე სურათი 1), მერე შეუკეთა ცუცხლი და 12

დღე ძალზე ახურა. მაშინ გახურებულმა სინდიკმა, შუშებში მომწყედეულ ჰაერის გამო, ფერი იცვალა და წითელ ფერ წილათი დაიტინა. მერე საქმე რომ დონეზე დადგა და წილა აღარ მატულობდა, ლავუაზიემ



სურ. 1.

ცუცხლი გამოუქრო და, როცა შუშები განელდა, დაატყო, რომ იმ სინდიკს, ანუ ვერცხლის წყალს, რომელიც ტაშტში იყო ჩასხმული, ზევით აწია, ზარის ქვეშ ასულიყო, ე. ი. მომწყედეულ ჰაერს რომელიმე ნაწილი დაჰკლებოდა და დანაკლისის ალაგი ვერცხლის წყალს დაეკირა.

ლავუაზიეს სუსველაფერი აწონილი, გამოწონილი და გამოანგარიშებული ჰქონდა. ამიტომ ადეილად შეატყო, რომ იმ ზარის ქვეშ მომწყედეულ ჰაერს ზომაში ანუ წინაში დაჰკლებოდა. მერე ის ახლად მიღებული წითელი წიდა სინდიკისა აწონა და აღმოჩნდა, რომ რამდენიც დამწყედეულ ჰაერს მოჰკლებოდა, სწორედ წიმდენი სინდიკს, ანუ ვერცხლის წყალს, ჩაეყლაპა და მასთან შეერთდა, შეკაეშირდა, რის გამოც შეიქმნა სრულებით ახალი სხეული — წითელი წიდა სინდიკისა.

ეს წინაში მომატება სინდიკისა, ანუ ვერცხლის ჭყლისა, იმას შოასწავებს, რომ როცა იგი წითელ წილათი იფინებოდა, რაღა-

ცას ჰყლაპაედა და, რადგანაც შუშებში მომწყვდეულ ჰაერის მეტი მას აჩსაიღვან არაფერი ეყარებოდა, აშეარაა, ის რაღაცა ამ დამწყვდეულ ჰაერს წართვა. ამას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ წონაში რაც დამწყვდეულ ჰაერს დაკლდა, სწორედ იმდენი სინდიყს მიემარა.

ამ გვარად ლავუაზიემ დაამტკიცა, რომ ჰაერი შესდგება ორის ნაწილისაგან; ერთი ნაწილი გახურებულ სინდიყს ეტანება და სინდიყიც მას იზიდას, მას უკავშირდება, და ჰაერის მეორე ნაწილს კი, რომელიც მომწყვდეული დარჩა შუშებში, სინდიყი ახლოც არ იკარებს. პირველ ნაწილს ლავუაზიემ უწოდა მეტავბადი და მეორეს აზოტი.

რომ უფრო გული დაჯერებინა ლავუაზიეს, რომ ის წითელი წილა სინდიყისა არის შეერთება ანუ შეკავშირება სინდიყისა და მფავბადისა, ამისთვის აიღო ახლად მიღებული ფხვნილი, წითელი წილა სინდიყისა, ჩაყარა სხვა პატარა შუშაში და მისცა ქვეშიდვან ძალზე ძლიერი ცეცხლი. როცა კავშირი დაირღვა, მაშინ მფავბადი თვალთუხილავ ოშეირად გაჭრა და შუშაში კი მხოლოდ აღრინდელი, — ვერცხლსაეით ბრჭყვიალა თხელი სინდიყი, ანუ ვერცხლის წყალი, დარჩა. ამით ისიც დამტკიცდა, რომ გახურებულ სინდიყს და მფავბადს ერთმანეთთან შეკავშირებისთვის მართლა და გული უძერთ.


ლავუაზიემ გამომდინარე მფავმბადი როდი დაკარგა. შუშის პირი ლულებთან ჰქონდა შეერთებული, ლულას პირი წყალში ჩაუყო, და როცა წყალმა გამონახად მფავბადის ოშეირისაგან ბუცბუცი დაიწყო, მაშინ ზემოდგან შუშა დამხო და მოაგროვა მფავმბადი.

იცი, კოტე, რა გახარო! მასწავლებელმა მითხრა, — თუ გინდა მფავბადის ნახვა, გაიქნე, აფთიაქიდვან ბერტოლეს მარილი მოარბენინეო და მე და შენაც მოვახერხებთ მფავბადის გამოხდასაო. უნდა გითხრაო, რომ რაკი ლავუაზიემ აღმოაჩინა მფავბადი, მას შემდეგ მეცნიერებმა ბეერ რამეში იპოვეს მფავბადი და ამიტომ ეხლა იმ წითელ წილას სინდიყისას მფავბადის გამოსახდელად იშევიათად ხმარობენო; ერთი რომ ძეირიაო და მეორეც ესა, რომ წითელი წილა სინდიყისა საწამლავიაო.



მე მაშინადევ მოვკურტხლე აფთიაკისკენ, მოვიტანე ჰერცოლდების  
გარილი,— ვშევნიერი თეთრი და ბრჭყვიალა ხერიშია.

მასწავლებელმა თაროდგან ჩამოილო საჭირო შუშები. მერე  
აიღო და, რამდენსაც ბერტოლეს მარილი იწონდა, იმდენი ქვიშა  
მიუმატა და ერთმანეთში კარგად აურია. ქვიშა იმიტომ არის სა-  
ჭირო, რომ საქმე წესზე წაიყენოსო. შემდევ ჩაყარა აყირო გოგ-  
რის მსგავს შუშაში, რომელსაც რეტორტა ეწოდება, და გამართა  
ისე, როგორც სურათზეა დახატული (სურ. 2). მერე შეუდგა ქვეშ  
სპირტის პატარა ლამპარი (ჭრაჭი) და დაუწყო გახურება.



სურ. 2.

მექანიკალის ოშეივარი მაშინადევ აეარდა, გაექნა ლულებისკენ,  
მაგრამ ლულის პირზედ წყლით საესე შუშა დაუხედა დამხობილი.  
მექანიკა დაწყებინა წყალს ბუყბუყი და სულ ბუშტები ასროლინა;  
მერე შუშაში ნადგომ წყალს ზემოდგან მოექცა, დაწვა და ნელ-  
ნელა სულ გარეთ გამოღვარა და წყლის ადგილი თითონ დაიჭირა.

ჯერ კიდევ რამდენიმე კოეჭი წყალი რჩქბოდა შუშაში, რომ  
მასწავლებელმა დაიძახა: აბა ბიქებო, ახლა კი კმარაო! აიღო მექ-  
ანიკა და საესე შუშა და პირი მარდად დაუკო. ახლა კიდე სხვა შუ-  
შა დააპირქვა და ამ გვარად ხუთი შუშა გააესო მექანიკით და  
სტოლზე დაამწერია.

მაგრამ რა, ძმაო, მე იმ შუშებში ვერა ენახე რა! ძირში ცო-  
ტაოდენი წყალი ედგათ და ერთს კიდე ძირში ცოტა ქვიშა ეყა-  
რა,— სხვაფრივ კი შუშები ცარიელი მეგონა.

მასწავლებელმა მითხრა, — ე მაგრე იმიტომ გვონიაო, რომ  
მეაებადი ძლიერ ჰგავს ჩეულებრივ ჰაერსაო: არც ფერი აქვს, არც  
სუნი, არც გემო და თეალითაც უხილავი რამ არისო. მხოლოდ  
თეისებით კი მეაებადს ჰაერისავან დიდი განსხვავება აქვსო. ჯერ  
თითონ ლავუაზიემაც აშკარად შეამნიაო, რომ ყოველ სხეულს,  
რომელიც ჰაერში იჭის, მეაებადში უფრო ძლიერ ეყიდება ცეც-  
ხლით. მასწავლებელმა მერე მითხრა, ე ხომ ცარიელი გვონია ეს  
შუშებით და აბა ახლავე დავიმტკიცებ, მეაებადს რა ოინებიც შეუძ-  
ლიანო; მართლა და აი რა მაჩვენა:


1) აანთო წმინდა სანთელი და ჩაუშეა მეაებადით საესე შუ-  
შაში. სანთლის აღმა იმ წამსვე სულ სხეა ფერი მიიღო, სხეა ძალა  
გამოიჩინა და თან წვაც მოუჩქარა. ახლა სანთელი უკანვე ამოი-  
ლო, გააქრო და, პატრიუქი რომ მხოლოდ ჰბოლავდა-და, ისევ შუ-  
შაში ჩაუშეა. სანთელი მსწრაფლ ისევ აენთო. ამ გვარად რამდენ-  
ჯერმე გაიმორა.

მერე მოათალა ფიცარს პატარა თხელი ჩინირი, მოუკიდა სან-  
თელზე და ისევ გააქრო. ჩინირი ჯერ ისევ ბოლავდა, როცა მეაება-  
დიან შუშაში ჩაყო, და მეაებადთან შეყრა და იმ წამსვე აპრიალება  
და ალის გაძლიერება ერთი იყო.

ეს შუშა ძირს ჩამოდგა და ახლა მეორე შუშა აიღო მეაება-  
დით საესე.

2) მითხრა, ხომ გინახავს, გოგირდი რა ფრად იწვის ხოლმეო?  
მეც ეუთხარი, როგორ არ ვიცი, ქვევრებში ახრიოლებენ ხოლმე მეთ-  
ქი. მოიტანა გოგირდი, რაღაც რკინის კოეზზე დადო და წუმწუმა-  
საებ აანთო. მერე ჩაუშეა ფრთხილად მეაებადით საესე შუშაში და  
ჩენი ნაცნობი გოგირდი მსწრაფლ მშევნიერ კაშკაშა ლურჯ ფრად  
აენთო (სურ. 3). ისე ჰაერში კი რომ წაუკიდო ცეც-  
ხლი, მწევნედ ხრიოლავს ხოლმე.

როცა გოგირდი იწვის, მეაებადთან კავშირდე-  
ბაო და ამიტომაც ჩენ შუშაში ეხლა ახალი ოშეი-  
ვარი გაჩნდა ძლიერ მძიმე სუნისაო. ამ ოშეივარს  
გოგირდევანი ოშეივარი ეწოდება და ნამჯის გასა-  
თეთრებლად ხმარობენო. ამ თეთრ ნამჯისაგან შლია-  
პებს აშადებენო. ქვევრებში რო წუმწუმას ახრიოლე-



სურ. 3.

ბენ, აი ის ოშენეარიც ნამდვილი გოგირდოვანი ოშეიგარიაო.—აგრეთვე როცა გოგირდ ნარევ უბრალო წუმწუმას აანთებთ, მაშინადევ მძიმე სუნის კუამლი აეარდებაო, აი ეგეც გოგირდოვანი ოშეიგარიაო.

ეს შუშა ძირს ჩამოდგა და მესამე მოიდგა.


3) ახლა კიდე აიღო ერთი რაღაც პატარა ნაკერი (წყალში ჰქონდა შენახული) და მითხვა, ეს ფოსფორისა და ძლიერ საწმლა- ებია. პატარა ნაკერი ამ ფოსფორისა ქაღალდით გააშერალა, იმავე რკინის კონტჩე მოათავსა და ჩატარა მეცებადით საესე შეუშაში. მე- რე წინდის ჩიტის წევრი ძალზე გაუხურა, ჩატარა და გახურებული წევრით ფოსფორს შეეხო. ფოსფორმა თოვის წამალსაეით იფეოქა და ისეთ ნაირ კაშაშით აენთო, რომ თვალის გაშტრეჩება ყოველად შეუძლებელი იყო. ბოლოს შეუშა თეთრი კუმლით გაიისო, რომე- ლიც წარმოსდგა ფოსფორისა და მეცებადის ერთად შეკაეშირების გამო.

ეს შუშაც გადადგა და მეოთხე მოიღვა.

4) აიღო მაეთული, კარანდაშს მგერალად მთელ სიგძეზე  
ბლობმად დაახვია, მერე კარანდაში გამოაძრო და მაეთულის ხელულს  
ბოლოოზე აბედი მოაბა. მაეთულის თავისუფალი ზემო წვერი შეუშის  
პირსაცობში შეამაგრა და ისე დაუცავა იმ მქაებადით საესე შუშას,  
რომლის ძირში ორი თითის დადება სილა (ქვიშა) ეყარა. აბედის  
ცეცხლი მქაებადმა მაეთულსაც მოუკიდა და ისეთი საშინელის ძალით,  
რომ ჭექა-ელვით ვეებერთელა ნაპერწკლებს ისერიდა  
(სურ. 4).

ძალიან კაი სანახავი იყო, როცა ნაპერწკლები ვარსკვლავებსაეთ ბრჭყვიალებდენ, მაგრამ თვალი დიდ-ხანს ვერ გავუშტერე.

5) ბოლოს აიღო პატარა ნაჭერი ნახშირისა, მავ-  
თულზე გამაგრა, ცეცხლი მოუკიდა და ჩაუშეა მეავ-  
ბადით საესე მეხუთე შუშაში. ისეთი კაშაში დაიწყო სუ-  
შაში ამ შეერთებით ნახშირ მეავას ოშეიგარი დატრიალდაო, რო-  
მელიც ყველა სულდგმულს სულს უწუთავსო.



მასწავლებელი ბოლოს მომიბრუნდა და მითხრა: ახლა ხომ შეიტყო, მეავთადი რა ბიჭიცა არის! ის-კი გამაფთხილა, რომ არამც და არამც ფიქრად არ მოვივიდეს, და შენ თითონ არ დაიწყო ჩინჩედელაობაო. ყველაფერს ცოდნა და გამოცდილება უნდო, თორებ ღმერთმა ნუ ქმნას, უბედურებას რასმე მოახდენო. აი ერთხელ მეც მომიხდა ხიფათიო და მაეთული რომ ჩაუშეი, ისეთი საშინელი ნაპერწლები გაყარა, რომ შეშა ნაკერ-ნაკერ დაიმსხერაო და წინალამ ცოდო არ დატრიალდაო. ეს იმატომ მომიხდა, რომ დამავიწყდა შუშის ძირში ორიოდე თითოს დადება ქვიშა ჩამეყარა, და გაშინ შეშა აღარ გასკდებოდაო.

ახლა მე ვკითხე: ი მონარჩენი ჰაერი, ლავუაზიებ აზოტად რომ მონათლა, ი აზოტიც მეავბადსავით ძლიერია-მეთქი?

მასწავლებელმა ამაზედ მიპასუხა, რომ გარეგანი შეხედულობით აზოტი მეავბადისაგან არაფრით განირჩევაო: აზოტიც თვალთ-უნილავი, უფერო, უსუნო და უკემო უშიერაიაო, მაგრამ თეისებით-კი აზოტი და მეავბადი ერთმანეთისაგან ძლიერ და ძლიერ განირჩევიანო. ანთებული სანთელი აზოტში ქრება, როგორც ნაჩერნებია სურათზე (სურ. 5). აგრეთვე სხვა რამ ცეცხლ-მოკიდებული რომ ჩაუშეა აზოტში, მსწრაფლად გაქრება. მარტო აზოტი არც სასუნთქელად ვარგაო.



სურ. 5

რომ აეილოთ აზოტით საესე შუშა და შიგ ჩავაგდოთ თავვი ან ჩიტი, საბრალონი მაშინვე დაიხსნაბიანო.

აზოტის გამოხდაც სხვა-და-სხვა ნაირად შეიძლებაო, მხოლოდ მე ეხლა არა მცალიან აზოტის გამოხდისთვისაო. და თუ გინდა დარწმუნდე, რომ უმეავბადოთ, მარტო აზოტით ჩეენი სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელიაო, აიღე შეშის ქილა, დამხე სტოლზე, მერე შეაგდე შიგ ცოცხალი თავეი, ან ჩიტი, ან სხვა რამ ცხოველი, ქილის პირები-კი ცომით ისე შემოგლისე, რომ გარედგან ჰაერმა უდარსაიდან შეაგნოსო, და ახლა თვალ-ყური აღევნე საწყალ ცხოველსაო: ჩეენი თავუნა იქამდე იცოცხლებს, ვიდრე ქილაში მომწყე-



დეულ ჰაერიდგან მქაებადს მთლად ჩაჰყლაპავსო და რაკი ქილა-ში მხოლოდ აზოტი დარჩება,—მაშინ მშეიდობით—უეხებს გას-კიმაესო.

ეს-კი უნდა გითხრაო, რომ აზოტს აქ ბრალი არა აქვსო, აზო-ტი-კ არა ჰყლავს ცხოველს,—ცხოველი იმიტომ კვდება, რომ აზო-ტი უმქაებადოთ სასიცოლცლოდ ყოვლად უვარვისიაო.

დამტკიცებულია, რომ ჰაერში ოთხი წილი აზოტს უჭირავს და მქაებადს-კი მხოლოდ ერთი წილი. მაშასადამე ჩეენ განუწყვეტლად ვისუნთქავთ მქაებადთან შერეულ აზოტსაო. ხოლო აზოტი იმის-თვის ურევია ჰაერში, რომ მქაებადს სიძლიერე მოუკლოსო.

ზოგიერთ ავაღმყოფებს-კი, რომელთაც სულის-ხუთება სჭირო, განგებ აძლევენ მქაებადით სახეს რეზინის პარკებს და ნელ-ნელა ლულიდგან შეისუნთქავენ ხოლმეო.

მასწავლებელმა ესეც მითხრა: ახლა, როდესაც ვიცით ჰაერის შემმაღევნი ნაწილები, რალა თქმა უნდა, რომ ჰაერს ჩეენ თითონ, რა დროსაც გვინდა, მოვამზადებოთ. საკმაოა აეილოთ ერთი თუნგი მქაე-ბადი და ოთხი თუნგი აზოტი, მერე ერთად აეურიოთ და ჰაერი მხად იქნებაო.

ბოლოს მასწავლებელმა ღრმალით მათხრა: ახლა-კი გვეყოფა და დანარჩენზე სხვა დროს ვიბაასოთო.

მე მაშინადევ თავი დაცუკარ, მაღლობა მოვახსენე და ბოდიში მოესთხოვე, რომ ასე გაწუხებოთ ხოლმე მეთქი. მეტის-მეტის სიამოვ-ნებით მეც-კი დაცილალე და სწორე გითხრა, კოტე, აქამდე ვონს ვერ მოესულეარ, სიზმარში ვიყავ თუ ცხადად ვნახე ყველაფერი. ახ, მთა, რამდენი ვინანე, რომ შენც იქ არ იყავი.

შინ რომ წამოვედი, გზა-და-გზა გაკვირვებული სულ პირჯეარს ვიწერდი: აი დიდება შენთვის ღმერთო! სწავლას რა ბევრი რამ შე-სძლებია-მეთქი!...

მშეიდობით, ჩემო კოტე! ღმერთი მოწყალეა, მოთმინებით და ერთგული შრომით ალბად ჩეენც ჩეენს მურაზს მოვეწევით!

## წმინდა იოანე ზედამნელი



ინეთ, ვიდრე საქართველოში მოვიდოდა, წმინდა  
მამა იოანე სცხოვრობდა ასურეთის \*) ქვეეპატი.  
ღირს მამა იოანეს დიდი სახელი ჰქონდა გავარ-  
დნილი სიწმიდისა; ამასთანავე განთქმული გე-  
დაგუშელიც იყო. ამის გამო დიდქალი ხალხი მოდიოდა  
მასთან მოძღვრების მოსახმენად.

ღირსმა მამა იოანემ განისრახა ასურეთის თავის და-  
ნებება, წამოვიდა ჩვენ ქვეეპატის და თან წამოიუვანა თა-  
ვისი თორმეტი მოწაფე.

ეს ცამეტი წმინდა მამანი საქართველოში მოვიდნენ სწო-  
რედ იმ ღროს, როდესაც გარდაიცვალა ქართველების დი-  
დებული მეფე გახტანგ-გორგასლანი. ამ მმღავრ მეფეს დარჩ-  
ნენ სუსტი შვილები და სარატელები ისევ გაბატონდნენ  
საქართველოში. ქრისტიანობასაც, როგორც ახლად მიღე-  
ბულ სარწმუნოებას, კარგი ღრო არ დაუდგა სარატელე-  
ბის ხელში.

და სწორედ ღვთის განგებამ მოუვლინა ამ ღროს ეს  
ცამეტი მამანი! ამათ განამტკიცეს ქართველებ შორის ახა-  
ლი სარწმუნოება ქრისტესი, ამათ გააშენეს მონასტრები

\*) ასურეთი ქვეით სახხუთისენ არის ჩვენი ქვეუნიჯგან.



და ეყლესიები, საიდგანაც გაისმა ქვდაგება ქრისტეს რჯუ-  
ლისა.

ასურეთიდგან მომხვალნი წმინდა მამანი ჰირველად მო-  
ვიდნენ მცხეთას. იოანე შეუძლვა მოწაფეთ ეყლესიაში,  
სადაც მხურვალედ იღოცეს; შემდეგ გავიდნენ მცხეთიდგან  
და მასლობ ზედამნის მთაზედ ავიდნენ.

ეს ზედამნის მთა ქართველებს წინადაც კურ  
გიღევ კერძებსა სცემდნენ თავებანს, სალოცავ ადგილად ჰქონ-  
დათ. შემდეგ ქართველთ განმანათლებელმა წმინდა ნინომ  
დაანგრია აქ აშენებული კერძის სალოცავი და ამის ალა-  
გას ააშენა ეყლესია, სადაც დაასუენა ჯვარი.

მლიერ მუეწონათ ეს ადგილი წმინდა მამთა და ეყპ-  
ლესიას გვერდით ჰატარა შენობა მიადგეს თავიანთ სა-  
ცხოვრებლად.

\* \* \*

ერთსელ მამა იოანემ უთხრა თავის თორმეტ მოწა-  
ფეს:—მამანო! გარს ასლად მოქრისტიანებული ხალხი გვა-  
ხვევია,—წადით, სახარება იქადაგეთ და ნათელი მოჭყინეთ  
სოფლებსა და ქალაქებსა...

არ გასულა ამის შემდეგ ბერი ხანი, ღირსი მოძღვ-  
რის მოწაფენი განიუანტნენ მთელ საქართველოში და აი  
აბიბოსის მოძღვრებამ ნათელი მოჭყინა ნეკრესის გარშე-  
მოს ქახეთში, იოსებმა ალავერდში დაიწეო ქადაგება, სტე-  
ფანე ქისიუში მოღვაწეობდა, დავითის ხმა გარეჯის უდაბ-  
ნოში გაისმოდა, ჰიროსი ბრეთში, —ქართლში, —ასწავებდა  
ქრისტეს მოძღვრებას.

ზედამნის მთაზედ-კი მარტო მოძღვარი ითანე დარჩა  
ერთის დიაკონით. ეს დიაკონი, სახელად ილია, არაგვიდ-  
გან უზიდავდა მოძღვარს წყალსა. წმინდამ შესთხოვა დმერთს,  
და წეარო იქვე მთაზე გამოუჩინა.

სალხმა მალე შეიტყო ლირისი მამა ითანეს წმინდა  
ცხოვრება და ბლომად დაიწეო სიარული მოძღვრების მო-  
სახმენად. ბევრს ისე მოეწონა ამ მთაზედ წმინდა ბერული  
ცხოვრება, რომ შინ აღარ ბრუნდებოდნენ და მამა ითა-  
ნესთან რჩებოდნენ მოწაფეებად.

ცოტა ხანში მოწაფენი ისე გამრავლდნენ, რომ მთა-  
ზედ აშენებული საცხოვრებელი აღარ ჰქოვნიდათ. ამის  
გამო ითანემ სოფელ საგურამოში გააკეთებინა სხვა შენო-  
ბა და აქაც იწეო რჯულზე განმტკიცება ასელად შეძგარ  
მოწაფეთა.

ასეთ შრომასა და მოძღვრებაში გარდაიცვალა მოხუცი  
მამა ითანე. სიკვდილის მოახლოვება რომ იკრძო, საგუ-  
რამოს ეკლესიაში წინამძღვრობა ილია დიაკონს მისცა.  
აგრეთვე ანდერძი დასტოუგა, რომ ზედამნის მთაზედ დაესა-  
ფლავებინათ.

გაიგეს თუ არა ლირისი მამის მიცვალება, დიდ-ძალი  
ხალხი მიაწედა ზედამნის მთას მცხეთიდგან და სხვა სო-  
ფლებიდგან და დიდის პატივით დაასაფლავეს წმინდანი.

შეძევ ამის საფლავზე ააშენეს მშენიერი ეკლესია,  
რომელიც დღეს ძალზე დამკველებულია. მას აქეთ ხალხი  
დღევანდლამდე უოველ წელიწადს დღესასწაულობს წმინდა  
ითანეს დღეობას, რომელიც შვიდს მაისს მოდის.

## ე ს ი შ ი

**უ** ესანიშვანი და სახელმძღვანი მწერალი იგაფარაქებისა ეზოპი დაბადდა ფრიგის ქალაქში ამორიუმში 1). ბუნებით დიდის ჭეშაცონების და მასში დიდი ენის პატრონი, ეზოპი შესახარა სანახვა იყო: იგი იუმა-დაუზე დაბადის ტანისა, გუზანი და ისეთი ენა-ჩდისგა, რომ გაცი იმის დაპარაგისას გერას გააგებდა.

ეზოპი ბატონის უმ იყო და ბატონია, რაგო შეატურ, რომ სელოსის სწავლა არ შეუძლიანო, სოველში გაუგზვნა თვის მოურავს ზენონს და შეუთვალა, ხვია-თქესვაში მაინც გამოიყენეთ.

ერთს დღეს ეზოპის გუზანი გაიტანა და დააბირა თუ არა სკნა, მივიდა იმასთან ორი გზა-დაგარეული მგზავრი და სთხოვეს, ქალაქის გზა გვასწავლეთ. ეზოპმა კურ მიიწვია ისინი საუზმეზედ, რომ შენაურებულიუკნენ და ძაღლ-დონე მოკერილათ, შემდეგ წაიგენა და დააუენა იმ გზაზედ, რომელიც ქალაქში მიდიოდა. მგზავრებმა მაღლობა გადაუსადეს ეზოპს, გამოუმშვიდობანენ და შესთხოვეს იუბილებს, 2) რომ ამ კაც-მოუგარებისათვის იგი დაეკაიდოდანა.

დაბრუნდა სიციისა და სიარელისაგან მოქანცელი ეზოპი, მივიდა მუსის ჩრდილში, რომელიც იქავ ახლოს იდგა, და მიიძინა. სიზმრეში ნასა ანგელოზი, რომელიც შეეხო ეზოპს, აუსსნა დამშელი ენა და მისცა ნიში იგაფებით დაპარაგისა. გასარებული ეზოპი გიქავით წამოსტა და დაიძისა — ნუ თუ ეს სიზმარი არ იყო?! ნუ თუ მე ენდა თავისუფლად შემიძლიან დაპარაგო! რა ბედი მომივიდა!

ენის ამოდგმამ გაახარა ეზოპი, მაგრამ მაღე უბედურებაც აწეა. ენის ამოდგმა გაუხდა მიუხად, რომ ეზოპი სხვას მიჰეიდეს.

1) ეს ქალაქი საბერძეოში იყო ძველს დროს.

2) იუბილები ძველის დროის ბერძენის ღერიში იყო.

ერთისელ მოურავშა ზენონმა მოიწდინა სასტრიგად დასკაც ჭრის მიზან  
ღ-ც ურალო საქმე ზედ. ამ უსამართლობამ მოთმინებიდგან გამოიყვნა ეზო-  
პი და ზენონს ბატონთან ჩივილს დაქმუქრა. ზენონმა დასწრო და უთხრა  
ბატონს: ენა-ჩლინგ ეზოპს ენა მიტრა და ისეთის უშვილის სატელებით დან-  
ძაგს თავის ბატონს, რომ გაცი უურს კერ დაუგდებოთ. განრისხებულმა ბა-  
ტონმა ზენონს აჩეკა ეზოპი და უთხრა: „რაც გინდოდეს, ის უკავი იმ გა-  
ცის არა მსგავს მასინჯსაც.“

დაბრუნდა ზენონი სოფელში და უსტრდა ერთს კატარს.

— გასასეიდი საქონელი სომ არა გუაგს? — ჰერთასა კატარმა.

— ჩემი ბატონის საჭონლიდგან გი კერის გავიმეტებ, — უთხრა ზენონ-  
მა კატარს, — და თუ გინდა, ერთ ჩვენ უმს მოგუიდო.

დაუქანეს ეზოპს.

— დამცინი, თუ როგორ არის შენი საქმე?! — შესძახა გაფავრებულმა  
კატარმა, — რომ ამ მასინჯს მაგარებე! ეგ ტეპის პარტე უფრო ჰერაგს, კიდ-  
რე ადამიანს!

უთხრა ეს და გატრიალებას აპირებდა კატარი, რომ ეზოპმა შეაუნა.

— მიუიდე, — უთხრა ეზოპმა, — და გარწმუნებ, რომ ბედს მოუწევა;  
თუ თავის-ნება და გერცი შეიღები გუაგს, ჩემი შექედულება მოაკეციანებს  
იმპატარ.

7 მოეწონა კატარს ეზოპის სუმრობა და სამ ობლედ<sup>1)</sup> იყიდა.

— მადლობა ღმერთს! — ამსობლა სიცილით კატარი: თუ მაგდენი სა-  
ხარისილო უმა არ არის, არც ბევრი მიგეცო.

ეზოპის ასედ ბატონის სულობა ის იყო, რომ ადამიანები ერთი  
ქადაქიდგან მეორეში ღამევნდა და ჰეიდდა. ერთხელ გაემგზავრა ეზოპის  
ბატონი კუჯისის ქადაქში და გასასეიდად სული წაიყვანა. ძაღლ-ღონისა და  
სხიერობას შესაფერდა, გაუერთ უმესს ბარეი სატარებლად. ეზოპმა სიტოვა  
მსანაცებს, რომ სასეში მიეღოთ იმისი სუსტი ღონე და მსუბუქი რამ მიე-  
ტა.

— შენ შეგიძლიან თავისუფლად წამოსვიდე, თუ გინდა, — უთხრეს  
ზიზღით ამსანაცებმა.

<sup>1)</sup> ობოლი ბევერი ბერძნული ფული იყო და უდრიდა ორ გროშს.



ამ ნაირი პატუნა იქვეინა ეზობმა და ამსანაგებს უთხრა, ჩემ წილ ჰარგები მეც წამოვიდებო. ამსანაგებმა სრული წება მისცეს პარგის ამორჩევისა. ეზობმა პურის კალათა აიღნია. ამ ნაირი მძიმე პარგის ამორჩევა ეზოპს სისულელეთ ჩაუთვალის და დაცინვა დაუწეს; მაგრამ ეზოპი არ შესცდა: სადილს შემდეგ კალათა კარგად შემსუბუქდა, და ორი დღის შემდეგ ცარიელი კალათა—და მიქვეონდა.

ეფესში კატარმა გრამატიკოსისა, მომღერლისა და ეზოპს გარდა, ჰქონდა მონები დაჭეიდა. ეს სამი მონა კი სხვაგან წაასხა. მეოდევების უკრადლების მასა ცეკვად კატარმა გრამატიკოსა და მომღერალი მშენიერის ტანისაძისით დართო, ეზოპს კი დაცლევილი ტანისაძისი ჩააცა და ამოუკენა იმათ გმერდში.

მოვიდნენ მსეიდველები, ოომედთა შორის ფილოსოფოსი ქსანტიც იქო. გრამატიკოსისა და მომღერალზე აჩვენა ფილოსოფოსმა და ჟიონა:

„რა იციანო?“

— ეკელაფერი,—მაუგეს დაუფიქტებლად მონებმა.

ამის გამგონე ეზოპი საშინლად დაიმანქა და გადისარხერა.

მომღერალში ორი ათასი ობოლი ითხოვა კატარმა, გრამატიკოსში—სამი. „და ვინც პირველად იყიდისო ერთ-ერთს,“—დაუმატა,—„უმას ეზოპს ზედ გავატანო.“

ძალის ექიმა ფილოსოფოსის გრამატიკოსა და მომღერალი, იმდენი ფული არა ჰქონდა, და არც უნდოდა სელცარიელი დაბრუნებულიერო.

მოწავლეებმა ურჩიეს უფავა მასინვისა, ოომედიც თავის დამნეტელის სასით დაღონებულ კაცსაც კი გააცინებსო. გამედა ფილოსოფოსმა ქსანტიმა ეზოპის უდივა და სამოცი ობოლი მისცა.

— რად გააცინე, — ჰქითხს ფილოსოფოსმა ეზოპს, — არცა მე შენ ამსანაგებს კითხვა მივეცი?

— იმისათვის, რომ იმათ ეკელაფერის ცოდნაზედ დასდეს თავი და უკარი არავერზე სთქვეს.

სელცარიელი არა ბრუნდებოდა ქსანტი სასლში, მაგრამ ძალის კი დაბლონა და დააგიტა ეზოპის უიდვამ: ფილოსოფოსსა ჸეგანდა თავის-ნება და უინიანი ცოლი, რომელსაც კაცი ვერაფერს მოაწონებდა, გულს გერაფ-



რით მოუგებდა. კარგად იცოდა ქსანტიმა, რომ ეზოპის ყიდვით შეღიან  
გააჭარებდა თავის ცოლისა, და იფიქრა, ხუმრობით შეკაპრებ ამ მახინჯს  
ჩემ სასდომათ. შევიდა ფალთსოფოსი ცოდთან და უისრა:

— ისეთი დამაზი და ასაღვაზდა მონა გივიდე, რომ იმისი ბადალი  
არ მოიძებნებათ.

უველა მოუთმენლად ელოდა ასაღვაზდა მონის ნახეს; მაგრამ წარ-  
მოიდგინეთ მათი განცვიურება, როდესაც ასაღვაზდა, ლაშზი მონის მა-  
გირ საზარელი მახინჯი დაინახეს. ცოლმა უსაყველესა ქსანს, ჩემი თავიდ-  
გან მოშორება გინდა და იმისთვის ჩაგიდებია ეგ საქმეო.

ცოდი ისე გასწურა, რომ ქსართან გაერაც კი მოიწადინა. დიდის  
მოთმინებით აიტანა ფილოსოფოსმა კი უსიამოვნობა და როგორც იუ-  
დაიულდა ცოდი, იმ პირობით, რომ პირველ შემთხვევაშივე მოუშორებინა  
თავიდგან ეზოპი. დაპირება კერ შეასრულა და კიდევ კარგა ხსნას ჭავნდა  
ფილოსოფოსს ეზოპი, რომელმაც არა ერთხელ გამოისხსნა ქსანტი გაპირ-  
ებისაგან.

გაზაფხულზე სიღის სასუიდლად წაგიდა ქსანტი და თან ეზოპი წაი-  
კვანა. მებაღემ მოაჩნია სიღი, მოუტანა ფილოსოფოსს და ჭკითსა:

— რისგან არის, რომ ძალად მოუკანილი აღრეულა სიღი ბევრით ჩა-  
მოაწებება გემოთი—თავის დროზე, თავის-თავად შემოსულ სიღს, თუმცა მე-  
ბაღე პირველს მეტს უკლის?

ფილოსოფოსმა კერ მოასერსა პასუსის მიცემა და ღმერთების<sup>1)</sup> გან-  
გებას მიაწერა ასეთი ამბავი.

ეზოპმა განზე გაიყენა ფილოსოფოსი და უთხოა, რომ იმისთვის  
მიცეც ნება მებაღისთვის პასუსის მიცემისა.

ფილოსოფოსი დასთანხმდა, თეითონ წამოვიდა და იქ დასტოგა ეზო-  
პი, რომელმაც მებაღეს ამ ნაირი პასუსი მისცა:

— ერთი შეიღებინი ქვრივი მი! თხოვდა შეიღებინებე ქვრივ-კაცს.  
ქადმა შეისულა თავისი გერები, უდიერად უკიდესოდა, სმირად მშივრებსა  
ჰერიდა და იმათ წილისაც თავის შეიღებს აჭმევდა. ისე დედმიწა: უფად

<sup>1)</sup> ქველის დროის ბერძნებს ბევრი ღმერთი სწამდათ.



ჭრებავს და ასაზრდოებს მხოლოდ იმ ნაუთის, რომელიც თვის დროშედ უქმდის.

ეს პასუხი ისე მოუწონა მებაღეს, რომ მოაწია საუკეთესო სიღი და უთავაზა ეწოპს.

\* \* \*

ეზობის სუმრობა გასდა მიზეზად, რომ განშორდა ფილოსოფისი თავის ცოლს: ერთ დღეს ფილოსოფისი თავის მეგობრებთან დროს. ატარებდა; ააწია საუკეთესო საჭმელი, მისცა ეზოპს და უთხრა: „ეს საჭმელი მიართვი ჩემ საყვარელს მეგობარს.“ ეზოპმა წაიღო ეს საჭმელი და ფილოსოფისის ძაღლს აჭიმა.

დაბრუნდა ქანიტი სახლში და ჭიროს თავის ცოლს: „როგორ მოგეწონა, ჩემო კარგო, მე რომ საჭმელი გამოგიგზავნე?“ ცოლმა გაგვირებულმა შესედა ქმარსა. დაუძისეს ეზოპს. ბარონმა მრისხანედ შესედა ეზოპს და ჭიროსა: „რა უკავი ჩემი გამოტანებული საჭმელი?“

— ჩემის ფიქრით, უთხრა ეზოპმა,— შენი მეგობარი არ უნდა იყოს ის დებაკარი, რომელიც წარმარტად თავს განტებს და თავის მშობლებით მიირას; ამისათვის შენი გამოტანებული საჭმელი გაჭამე შენს ძაღლს, რომელიც მაშინც კი გილოკავს ხელ-უკესს, როდესაც შენ იმასა სცემ.

ფილოსოფისმა ტუქბის გბენა დაიწუო; ცოლმა კი დაჭრა ფირი და დედ-მამასთან წავიდა. სევრი ესტენა ფილოსოფისი ცოლსა, ნათესავები მიუგზავნა, დაბრუნდი სახლშით, მაგრამ ტუქილად: კვდარ-ფრით დაცოლდა განრისხებული ცოლი.


ამ გაქირვებისაგან ეზოპმა ისსნა თავისი ბარონი. წაკიდა ერთს დღეს ბაზარში, იყიდა ბლობიდა სხეს-და-სხეს სანოვაგე და იარა იმდენი, მანამ თავის ქალატონის მოსამსახურეს არ შესვდა. მოსამსახურეს გაუკვირდა, რომ ეზოპს ამდენი სანოვაგე კვიდნა, და ჭიროსა:

— რა ამბავია, რომ მაგდენი სანოვაგე გიგიდნია?

— ცოლი კვდარ შეირიგა ჩემმა ბარონმა, სხვას ირთავს და საქორწილოდ გიუიდეთ,— მიუგო ეზოპმა

გაიგო თუ რა ეს ამბავი ფილოსოფისის ცოლმა, მაშინეუ დაბრუნდა





ქმრის სახლში და ბოდიში მოიხსდა, მაგრამ კი მაინც არ ასტრია საქვიდლი.

ერთხელ ქსანტმა მოიწვია თავისი მეგობრები და გარგად უნდოდ გაჭ-  
მასპინძლებოდა. დაუმასა ეზობს და უბრძანა, გარგი სადიღი მოემზადებინა  
ამ დღისთვის.

ეზობმა იყიდა ბლობად ძროხის ენა, მოუტანა მზარეულს და უთხრა,  
რომ ენის სხვა-და სხვა საჭმელი გაეკეთებინა.

შეიკრიბენ ეზობის მეგობრები, დაუწეს საჭმელს ჭამა და მაღიანც  
მოეწონათ, მაგრამ მალე მობეზრდეთ ერთგვარი საჭმელი და უკმაყოფილე-  
ბა განუცხადეს მასპინძლეს. ქსანტმა ეზობი დაიბარა.

— მე შენ არ გითხარ, რომ საჟერესო საჭმელი გეეგიდნა?

— განა ენაზედ გარგი და არის რამე ქეუნიერობაზედ?! — მიუკო ეზობ-  
მა: — განა ენა არ არის წყარო მეტნიერებისა?! ენა არ არის იარაღი კაც-  
მოუკარებისა და სათროებისა?! ენის წეალობით არა ჰუკვიან სასელმწიფო-  
ნი?! ენა არ გვეხმარება სწავლაში, ენა არ გვისსნის გაჭირვებისგან?! ენის  
შემწეობით არ გამოგვთვალით სოლმე ჭკეუ-გრონების ნაყოფს და მოთხოვ-  
ნილებას!

— რად ეგრეა, — უთხრა ეზობს ქსანტმა, რომელსაც უნდოდა ამ ნით-  
რის ქცევისთვის დაეჭირა რაშიმე ენა-მასებილი მონა და რიგიანად დაესა-  
ჭა: — მაშ ხვალ ისევ ამათ მოვიწევ, და შენ ისეთი საჭმელი უნდა იყიდო,  
რომ იმაზედ საძაგლი არ მოიპოვოდებს რა ქეუნიერობაზედ, გაფრთხილებ  
კი: თუ ეხდაც ჭრები აღწეზედ არ დაგივდა, წასულია შენი საჭმე!

მეორე დღესაც ენა იყიდა ეზობმა და მიართვა სტუმრებს. მონის ამ  
გვარის საჭციელით განცვალებულმა სტუმრებმა შენიშვნა მისცეს ქსანტმს.

— ენა არის დედა ერვენის ბოროტებისა, — უთხრა ეზობმა თავის  
ბატონს, რომელმაც სიბრაზისაგან აღარ იცოდა, რა ექნა: — ენა არის უპირო  
სმაღლი, რომელიც მუსის ავლებს მთელ ქალაქებს და სასელმწიფოებს. თუ  
დიღება შეუძლიან ენას ღმერთებისა, მათი განკიცხვა და დამდაბლებაც შისი  
საჭმეა. ერთის სიტუაცით, ენაზე საზარეული და საშიში მტერი არა ჰქანებს გა-  
ცლობრიობას!



\* \* \*

ეზოში ერთხელ სოფელში მიდიოდა და გზაში შემოსედა მგზავრი, რომელმაც ჰქითხა:

— დიდი მანძილია კიდევ ქაღაქმდის?

— გასწიო! — მიუგო ეზოში.

მგზავრს ეგონა სულელთანა მაჭეს სტერ და სმის ამოულებლად გაუდგა გზას.

— ეა, მითიღო! — მაიძანა ეზოში მიძაღლ მგზავრს: — თუ საათს შემდეგ იქნება ქაღაქმი.

— მაშ თატომ წერანკე არ მითხარი? — ჰქითხა გაკვირვებულმა მგზავრის.

— როგორ გატერდი. როდესაც არ ვიცოდი შენი სიარედი.

ერთხელ მოწაფებულთან დროს ატარებდა ქასანტი და ეზოში სელჩუქ ემსახურებოდა. შეატეო, რომ ყველაზა დაითვინენ, და მაღალის სმითა სოჭვა:

— დკინის სმის სამი სარისხი აქვთ: კაუათიღება, გაბრუება და სისულეები.

მოქადაგე საღმია გაიცინა ეზოშის ოქმანედ და დაიწეო იქნებ ღვინის სმა. თავის დავიწეუბამდის მისული ქსანტი არწმუნებდა თავის მოწაფებს, რომ მთელ ზედგას დავდეო თანა მოქეიივთაგან წახლისებული და წაჭეზებული ფილოსოფოსი დაენაძლება ერთ თავის მოწაფეს. თუ ქსანტი კერ შესრულებდა თავის ნათევაში, მომგებისთვის უნდა მიეცა თავისი სასწავლა და მოძრავი ქონება. საჭირო გათავისმდის კი კირაოდ მისწა სეჭედი, რომელიც ძალას უკარდა და მუდმი სელჩუქ ატარებდა.

გამოივსიზღდა მურა დღეს ფილოსოფოსი და მოიკითხა ჟეწედი. ეზოშია უთხრა წინა დღის ამბავი. ძალას დააღონა ქსანტი წინა დღის ჩადენილმა სულელმა საჭირებმა და ნახოდა, მაგრამ სინაწედით წამსდაც საჭეს რას უშედედდა. მიჭმართა ისევ თავის მსხვედს ეზოს და რჩევა ჰქითხა; ეზოში შეეღას დაწირდა.

დანაშნედ დღეს მთელი ქაღაქის მცხოვრებნი გამოვიდნენ ზღვის შირას იმ იმედით, რომ თავმოუკარე ფილოსოფოსს დამარცხებულს გნახავთო; იმის მოწაფეს კი, რომელიც ქსანტს დაენაძლება, გამარჯვებას უღოცავდნენ.

ქანტრა გაარღვია საღსი, დადგა შეაში და სოქეა:

— მე, მართლია, დაგენაციებე — მთელ ზღვას დაგლეგ-მეოქი, მაგრამ ზღვაში ჩამავად მდინარეებზედ კი სმაც არ ამომიღია. მოაშორონ ზღვას მდინარეები და მე ჩემ პირობას შევსრულებო.

უკედა განციიურებაში მოიყვანა ფილასოფოსის ასეთმა სერმა; მოწავემ თავის თავი დამარცხებულად დაისრა და მასწავლებელთან ბოდიში მოისადა, საღსმა კი დიდის ამით გააცილა გამარჯვებული ქანტრა.

ამ სიკეთისთვის თავისეუფლება სტანცა ეზომა ქანტრა. ფილასოფოსმა უთხრა, რომ კერ ადრეა განთავისეუფლებათ, და თუ მაინცა და მაინც ღმერთები მიძრმანებენ, გაგანთავისეუფლებათ. ნიშანი ეს უნდა იყოს: თუ ერთ სეზედ დაინახავ თუ უგაეს, გაგანთავისეუფლებათ, თუ არა და დარჩები ისევ მონად.

გამოვიდა ეზომი გარეთ და სის გენწერზე თრი უგავი დაინახა. გახარებული შევიდა ბატონთან და შეატელია, მაგრამ, საუბედუროდ, ბატონის გამოსვლაში ერთი უგავი გაიზრნებიდი.

— როდემდის უნდა მატეულ ასე, შე საძაგელო, კაცის არა მსგავსო! შექმნოთ განხრისებულება ფილასოფოსმა. — ეი, ვინა სართ? თცი ჭოხი მიატევით ამ გუზიანს სიცრულისათვის!

მონება, რასაკვირველია, დაუუღნებდივ შესრულებს ბატონის ბოძანება. როდესაც ჭოხებს უტეასუნებდნენ საცოდავ ეზომს, ერთმა მეზობელმა გაცი გამოუგზავნა ფილასოფოსს და სადიღად დაჭირატიერა.

— მთელ, უკერავდ მოკალ, — უთხრა ქანტრა გამოუზავნიდა მაასუნს.

— აა აა უსამართლოა ქვეუნა! — სოქეა ეზომა თხვრით: — მე თრი უკავის დანახვისათვის ჭოხით გამატებულეს, ჩემი ბატონი კი, რომელმაც მარტო ერთი დაინახა, სადიღად დაჭირატიერეს!

— ისე მოეწონა ქანტრა ეს სიტევები, რომ უბოძანა თავი დაეწეუნდათ, თუმცა მონაბისაგან კი მაინც არ განთავისეუფლა.

ეაზბეგა სტუმრად ბრძანდება



რთი კაცი სტუმრად წავიდა და თან თავისი მაღლი  
 «ეაზბეგა» გაიყოლა.

სტუმრები რომ ოთახში მევიდნენ, ჰატარა სანს უქან  
 კაცი მეორე ოთახში გავიდა და ეაზბეგა-კი იქვე დარჩა.

ეაზბეგას უქვარდა სალსი, მათტო ეოფნა მაღვე მოს-  
წეინდა და დაიწეო სასტუმრო ოთასის ათვალიერ ჩათვა-  
ლიერება.

უცრიად აյი დაინასა მაღლი, სწორედ თავისი მსგავ-  
სი, რომელიც პირ-და-პირ ამისკენ მოდიოდა.

ეაზბეგა გაჩერდა, ის მაღლიც გაჩერდა და ამასავით  
ორივე ტოტი ბალიშებედ შესდო.

— გამარჯვება, მამიავ! — უთხრა მხიარულად ეაზბეგამ.

მაღლმა პირი გააღო და ჰასუსი-კი არა მისცა-რა.

ეაზბეგა ამ სახლში უცხო იუო და ივიქრა:

— მოვიცდი, დევ თითონ დამელაპარაკოსო! და ჩაჩუმდა.

— იქნება ერუა და ვერ გაიგო ჩემი სალამი, — სთქვა  
ჰატარა სანს უკან ეაზბეგამ, — მაგრამ სახლის ჰატრონი  
სომ თითონ არის, რატომ არ დაჯდება და მეც არ დამსვამს.  
დგომით ხომ დავიდალე.

ეაზბეგა მხიარულად შესცერის, მეორე მაღლიც მხია-  
რულად უეურებს, მაგრამ სმას მაინც არ იღებს.

— რა კაი ამინდია! — სთქვა ეაზბეგამ.

მეორემ ტუჩები შეათაბაშა. მაგრამ სმა-კი არა მოისმა-  
რა.

— ეს რა უცნაური ამბავია! — სთქვა ჩუმად ჩვენმა მა-  
ღლმა და მერე სმა-მაღლა დაუმატა:

— ნება მიბომეთ, დავჯდ!

დაჯდა და უცნაური მაღლიც, სმა ამოუღებლივ, იმავე  
დროს დაჯდა, რა დროსაც ეაზბეგა.



— ვნახოთ, ესლა რაღასა იქს, — სოქვა ეაზბეგამ და  
წაპოდგა.

მეორე მაღლიც იმ წამსვე ფუჩსედ წამოუდგა.

— დამცინის თუ რა არი! — და ეაზბეგამ ბრაზით კი-  
ლები დააკრაჭუნა.

მასანინძელმაც ბასუსად კილები დაუკრაჭუნა.

ეაზბეგამ წინა ტოტი მუქარით მოუღერა.

იმ მაღლმაც მაშინვე ტოტი მოუღერა.

— ამათში რა უცნაური ჩვეულება სცოდნიათ! სტუ-  
რების მიღება განა ასე უნდა? — შეჭდრინა ეაზბეგამ.

უსათუოდ დიდი ჩეუბი მოუვიდოდათ, რომ ამ დროს  
ეაზბეგას ბატონი თახსში არ შემოსულიყო და მაღლის-  
თვის არ დაესახა.

მეტი რა გზა ჭირნდა ეაზბეგას, რომ ბატონს არ  
გაჭეოლოდა, სოლო თოახიდამ გასვლის წინედ ერთი კი-  
დევ გადაჭედა მაღლს და დაიღრინა.

დახეო! ისიც სწორედ ისე არ იღრინება!

— რა გაუზღელი მაღლია! მეორედ ფეხს აქ აღარ შე-  
მოვდგამ! — წამოიძახა ზიზღით ეაზბეგამ და გამოუდგა ბა-  
ტონს.

აბა, ბატარა მკითხველნო, გამოიცანით, ეს რა მაღლი  
იურ, რომ ჩვენი ეაზბეგა ასე აწვალა?



## მეურმე და კამბეჩები

**კ**რთი საწყალი მეურმე იყო; ულელი კამბეჩის მეტიარა ებადა-რა. რადვან ამ მეურმეს სხვა ცხოვრების გზა არ ჰქონდა, დღე და ღამ ეს კამბეჩები ურემში ება და ქირაზე დაჭყავდა. კამბეჩებს მოპეტრდათ დაუსვენებელი მუშაობა. იფიქრეს და გადასწყვიტეს:

—დრო ვიხელთოთ და, როცა ჩენი პატრონი ურემს მძიმედ დასტვირთავს, ერთს ისეთს უალავო-ალავს გადავაბრუნოთ, რომ სულ ერთიან დაიმსხერას. რაკი პატრონს ურემი აღარ ექნება, ჩენც თავისუფალნი ვიყლითო.

კამბეჩებმა ურემი გადააბრუნეს; მაგრამ მეურმემ სხვანაირად გასაჯა. აიღო ვალი და უფრო ფართო და მკეთრი ურემი შეიძინა:—დასადებს ბევრს დაუუდებ და ქირასაც მეტს ავიღებო.

ან—შა

## ჭვავების გამკრიანობა

**კ**რთი ძალი სახლის წინ ზარმაცად ძელსა ლრლნიდა. ყვავებმა თვალი მოჰკრეს და ძალს გარს მოუსხდნენ. შურის თვალით შესცემოდნენ მძეალს, თავს აქეთ-იქით იქნევდნენ და ფიქრობდნენ, ძეალი როგორ გამოეტყოთო.

ერთი თამაში ყვავი კიდეც მიეცდა ახლოს, მაგრამ ძეალის პატრონმა ისე შეულრინა, რომ მალე უკანვე დაბრუნება იკადრა.

ყვავები ასე რომ ვერას გახდნენ, გამართეს რჩევა, თაბირი



და საქმე იმით გათავდა, რომ ერთი ყვავე ძალლს უკანიდამ მიეპარა  
და კუდში ნისკარტი მაგრა ჩაჰურა.

ძალლს სიმწარით ძეალი დააკიტყდა და ლრინვით მიუბრუნდა  
ყვავს. დანარჩენმა გაიძეერა ყვავებმა იხელეს, მოიტაცეს ძეალი და  
ერთ წამს გაქრნენ.

## უკვდავების სასმელი

**ჩ**ინეთის ხელმწიფეს ერთხელ მიართვა ერთმა მისანმა ჭიქა  
უკვდავების სასმელით. ხელმწიფემ ბრძანება გასუა, ჩემის ხაზინიდგან  
მიეცით ამ კაცს ოქრო და ვერცხლიო, და ხელი გაუწოდა ჭიქის  
გამოსართმევად.

ამ დროს ერთმა აქვე მდოგმა კარის-კაცმა დაასწრო ხელმწი-  
ფეს, მისანს ჭიქა გამოსტაუა და გადაჰურა უკვდავების სასმელი.

ხელმწიფე საშინლად განრისხდა და ბრძანა:

— ეხლავე ჩამოახჩეთ, როგორ გაბედა ამან ჩემთან ასეთი საქ-  
ციელი!

ათასმა კაცმა ერთად მიატანა ხელი საბრალოს შესაპყრობლად.

— ხელმწიფეო ჩემო! ორი სიტყვა მათქმეენეთ და სასჯელს  
მოთმინებით მიეიღებ,—სთქეა დამნაშავემ.

— სთქეი, შე თაეხედო, და მოწყალების იმედი კი ნუ გექნება,  
ბრძანა ხელმწიფემ.

— ხელმწიფეო ჩემო! თუ ეს მართლა უკვდავების სასმელია,  
ხომ არც ჩემი სიკედილი შეიძლება და თუ მე მოვკედები, მაშინ ეს  
კაცი მოტყუებას გიპირებდათ; და განა დანაშაულად ჩამითელით,  
რომ ეს აგაცდინოთ.

ხელმწიფე ჩაფიქრდა, მერე გადაეხეია და აკოცა თავის კარის-  
კაცს. ცრუ მისანი კი მაშინვე სახლიდამ გააგდო.

## լ ա ն թ 0

տաժաժոնն



ուստամանց ծանրեցի տապանտ Շոտիս ամոռհիշեցեն որ „,Ըստան“, լեզուն գարձա պատա ծանրեցի գայլուն Ռվակուլ - Ռվակուլա համարնում ճանաչուս և Ռվակուլա ճանաչուս ամոռհիշեցաւ. ճանաչուս ամոռհիշեց ամ հոգագ պատան.

Ես տէյատ, Ռվակուլու պատիշուլու յրտագ գայունա. յսենո յրտո մըռհըս հսկուլուտ յունեցնուան պատիշու տապանտ գամոցունուլս ճանաչուս յրտո յրտպուս, մագալուտեցն, մը „,Ճալու“ մէյրանո; մըռհը մուցգիս, մը „,Ճամու“-ու.

Մեմքայ յս ուրացենո մօմահուացեն հոմելուսամյ „,Ըստան“ ասետու և յուտեայուտ: „,Հոմելու զոնդա: Ճալու ու Ճամու“?

„,Ըստան“ յրտ-յրտս ամոռհիշեց; ուրպուս, ունդա, արամու. արամո ամոռհիշեց լու լուստան ճանհիցն լա ճալու-յու մըռհը լուստան մոյ-կուլուցն.

Ասոյ մոյի մոյ մըռհը Ռվակուլու ծանրու, մըսամեր, մըռտեր, — յրտու և յուտեայուտ, պատիշունո յակուցուցնուան որ տանավոր ցոնդագ լա ույուտու ցոնդագ լուստան լուստան լուստան լուստան.

Ամաս Մեմքայ յամիշուրպուլուս հետիւտ անյ լարուտ յակյ ագուլաս ուրցուլուց Մեմուսահացեն Բիշ. Բիշու և յուտեայուտ մոտամանցուա հառ-դունանանց արուս ճամուկուլուցն.

յրտո ցոնդագ մոտամանցուա պատան հաջուս ամ Բիշու. ու յուս պատան յրտու յրտու հաջուսա, յսեւը կյունուս յրտու պատան յագանցուցն.

Եցուտեայուլու Բիշու մօցումու ծանրու Մեմուսենուս յամահս—,,Լաեթու“, ճամունանց Բիշու և յուտեայուտ մօցումու յրտու ծուլու և յուտեայուտ Բիշու յուտեայուտ, լա ու յուտեայուտ ամ լաեթու մօցումու յագանցուցն. ամ յանաւ յուտեայուտ Բիշու մօցումու ծանրու յրտմանցուուս Շոտիս աելու ուղյունուան ուրցուլուց տապանտ լաեթուցնուս և յայսահայուլուց.



Ցեղական գոյն գոյն մոտամաշենո, վրիս ցարեց ձահնօթունո, Ցեղական գոյն գոյն վորյալըն, մեռլուգ ոմ վորոնուտ-զո, հռմ վրյը Շնցնուտ առ ցածածիջուն, ձա լուլունքն ցամուտրապոն. լաեւրէն. առ ցարեց մոտամաշենո ցարին-ցամունին, լաեւրէն ցրանքնուն; Վարունեցնու-զո առ ուշյեցն ձա ցյես իշյուտ տացուամ օմունյեցն.

Եստյեատ, յրտմա ցարեց մոտամաշետացանմա վրուամ լաեւո ցամունայա. մանոն յս ամ լաեւու ոռ ցարաց եմարունես: տան ևլումն, — հասայուրյալուա, սոյրուտելունուտ-զո, հռմ սաեցն արացու ցարունուս, վրյշո մոյուտ ծանցյեն լաեւրէն ու տան ևլու լաեւրէնսաւ ամուս սանցալունքնուտ ազգուաց օնչուաց տացուսկյեն. ու Ցեղական լաեւրէն ցամունուն, օնան անենաց ցադասլումն.

Ու վրուամ պայուղա լաեւրէն ցամունունց, ցարեց պմանցուրյալըն և սատուաց համունուրյալըն լա Շեյքմինեն յրտու այր-ֆայրո, յրուամուլո, լաեւրէն լուրուալո: յլունո լուլունքն վրիս պմանցուրյալըն ուցուառ մանու „մոսլիքոն“, օնոն ցարին, յրտմանցու ցյարենին, ազգուունչ երուան.

Մացրամ ասց ազգուաց առ առուս վրուամ պայուղա լաեւրէն ցամունուն: Տայի ու առուս, հռմ հռու յրտուս մերուց լուլունքն լաեւրէն ցամունուն, Ցեղական մերուց „ցայիրուս“ գոյքնու լա մյուսալունցունենամուն առուան. „ցայիրա“ կուցք օմաս չեցուան, հռմ լաեւրէն Վարունու ցյես Շեաենքն անյ մուարունուս մուապեցյուն երլու, ցյենու անյ ևլու հռմ մյուսամյ ազգուաց, ցարաց տացուս լա վորուսաենսա.

Ու յրտմա վրյուն մօցումին ծանցյեմա լաեւրէն մուապեցյուն ցակիրա, մանոն պայուղանու վրուամ ցամունուն լա վրյուն աելու մյուն ցոյն լուտունքն, օմ ցոյն, հռմելուու պյամունքն ցարեց ոյու լա տամանուս օնցը լաեւրէն մունչեց լանցունուտ երլ-մյուն ունցընքն:

Ու յրտմա վրյուն մօցումին վրյուն, լամարլութենունուս օնուս, հազցան լաեւրէն սյուսես օնոն սյուրու եմուրաց օցյունցնեցն.



### ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. დედის წინ მორჩინალ კვიცს მგელი შესჭამით. ✓
2. თაფლი იყოს და ბუზი სტამბოლიდამ მოფრინდებაო. ✓
3. დათეს თაეში სცემდნენო და ის კი ამბობდა: ეს რა ბრავა-ბრუვიაო. ✓

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(აღ. დიასამიძის შეკრებილი)

არწიება დაიწიწინა, გარ შემოისეა ბარტყები,  
არც არის იმის შეილები, არც იმის შეილი-შეილები.

გამოცანას მოგახსენებ, გამოცანას მარგებელსა:  
სახლ-პატარა, ჯალაბ-დიდი, მაგრამ ტკბილად აგებული. (150)

ასინიანთ ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა,  
ქარმა შემომიბერა, კალთა ამიკეცა.

ელაო-მელაო, მხარზე გაედო ენაო,  
იმისი სიტყვა-პასუხი ქვეყანას დაეჯერაო.

წითელი ქეერი, შავი სარქველი, შიგ ხოშორ-ხოშორი.

## ს ა კ ს უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი

(ჩაწერილი აღ. ხახანაშეილისა)

აბდულა შეიკმაზა თოფითა და ჯინჯილითა,  
 ჩაეალ თბილისს, შემოესდგები, ამოეწყვეტავ შიმშილითა.  
 ეს ერეკლემ რომ შეიტყო, გადაბრუნდა სიცილითა:  
 „მევე ერეკლე მოგიკედეს, ვერ გაგხეთქო სირბილითა,  
 კოჯორი გაგარბევინო, მონასტერი ტირილითა“.

ჩამომექსენ, არჩილ-მეფე, ალიანს და ჩალიანსა,  
 მოგეწევი, ხმალს შემოგურავ, ისარს გესერი შხამიანსა,  
 ცხენ-ჯორებს დაგაყრევინებ, ძუა-ლალებ-ლალიანსა.

## ჩ ქ ა რ ა - გ ა მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ი

1. ეს ჩვენი სკეინჩა-წრიპა-ყარანა  
 ნეტავი რას გვესკეინჩ-ვევწრიპ-გვეყარანება.

2. ეს ჩეენი დაეით მიტროპოლიტი  
 გინდ იქით გადაგიდაეით-მიტროპოლიტებია,  
 გინდ აქეთ გადმოგიდაეით-მიტროპოლიტებია.

## ს ა მ ა თ ე მ ა ტ ი გ ო გ ა მ ო ც ა ნ ა

მუხრანს ერთი მუხა სდგას, ცხრა ტოტი აბია,  
 თითო ტოტში ცხრა-ცხრა თაგვეია,

თითო თავეს ცხრა-ცხრა წრუწუნა ჰყავს,—  
სულ რამდენი თავეი და წრუწუნაა იმ მუხაზე?

### შარადა


პირველს ავებენ ჩიტები  
ხეებზე ჩალაბულითა,  
მეორე კაცს სჭირს თვისებად,  
როცა ძეირია გულითა.  
მთელი კი მოდის ვენახში  
ფერითა მოწიფულითა,  
ცოცხლების მაღნინებელი,  
მკედრების ამხსნელი სულითა.

### გასართობი

ხელებით ჩრდილზედ გამოიყენეთ შემდევი სურათი:




## რ ე ბ უ ს ი



დ კ ა წ



შ ე ს ა ნ ი ჭ



ც ი



თ ა

## № VI-ის გამოცანების ასსნა

1) ოქრო. 2) საჩქელი. 3) ნაცარი. 4) მარილი. 5) ხომალდი.  
 აკროსტიხი: შ—ფოთი, ა—ფრენა, ვ—ალი, თ—ვალი, ე—ლამი,  
 ლ—ომი, ი—მერეთი, —გამოვა შავთელი.

შარადა: შურდული.

გამოცანა—რეპუსი: კატედ მაღალი—ლორზედ დაბალი  
 (ქუღია).

გამოცანა—რეპუსი ახსნილი იყო ოზურგეთის სასულიერო სასწავ-  
 ლებლის მეორე კლასის მოწაფის ლუკა ხუნ დაძეს აგან.



1891 წ. იანვრის თვეიდგან  
მ. ტფილისში

გამოვა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებრანი  
ქურნალი

## ჯეჯილი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თოთო წიგნში იქნება  
თოთხილამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის  
ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხოვნანი, ლექსები, ზღაპრები,  
მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები,  
მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბაეშო სათამაშონი და სა-  
გარჯოშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგაები, ანდაზები, გამოცა-  
ნები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

კურნალში მონაწილეობის მიღება აღვერთქვეს ყველა ჩენების  
საუკეთესო მწერლებმა.

კურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ლირს—3 მან.,  
ტფილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა  
ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორიში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.  
ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში  
(Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თეთრ „ჯეჯილის“  
რედაქციაში (Барятинская ул., д. № 48).

2) ქუთაისში—ე. ნიკოლაძისას.

3) გორიში—ე. ურცელაძისას.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის საგენტოში.

ვოსტის აღრევი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинского  
диптическаго журнала „Джеджили“.

## Խ Յ Ձ Յ Ո Լ Ո

Ճամունա 1891 թյլսաց օմազյ նշուշնամուտ, ռուգուրց պիտի այսամքը.  
Յուսած կաշին գալութեատու ջանետո աթ 1891 դպրութեատուն,

### Թ Ո Ւ Մ Ա Ր Թ Ո Ղ Ե

**ԾՊՈՂՈՍՑՈՒ:** ա) տուռն հեծավարութեաս, նոյուղուածնութեաս յշխանքեց, զարանցուած եցըլու პորդաձուր, ո. ցիրունինսկուսցուցուց սակելցեցնու, № 21;  
թ) „Քարտացելու-թուրու վրա-յուտեաս ցամացրուցուցեցն սակոցագուցնու“ յանցուարութեաս, սասակելու յշխանքեց, տացագ-թնաշուրու սագուուցուցնու ծանյութ յանցու վարուածու ցալցրուածու, № 102.

Ըստուուսու ցարուց մըկուրիցետա սինդա դամարուն ցանյութո Շեմցուցու աղհյեսուտ:

### Վ Ե Տ Ի Ֆ Լ Ի Ս . Վ Ե ր ա ճ ա կ ի ո ւ գ ա զ ե տ ա ր տ ա ր ի ա շ է .

Հեծավար ամաստանազյ ալքագուցն, հում օգո ցանյութու ցացիացնու ցամու Յասնին մըկուց յանցու օյնեթա մարդու օմ եցըլու - մոմիցրու վինանց, յոնց ցանյութու դայցուտուսատու Շեսանցուցն ուսուց პորդաձուր հեծավարութի լա ան „վրա-յուտեաս ցամացրուցուցեցն սակոցագուցնու“ յանցուարութի վարմուացցուն, անու ցամուցնացնուն.

Ճանետո բարու 10 ման., նաև յանցու բարու — 6 մանետո.